ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903–1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№52 (1490) 21–24 ოქტომბერი, 1996 წელი

## პრეზიდიუმის წევრები:
## გაირიცხოს!

### ზვიად გამსახურდია:

სოლჟენიცინი რომ გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, საკუთარი ნაწარმოებისთვის გარიცხეს, თქვენ მაგდებთ იმისთვის...

მეორე გვერდი

## ვინ იყო ვინ?
მასალები საქართველოს ისტორიის მოყვარული მკითხველისათვის



კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად და თამარ გამსახურდიები

# დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

## ციხეში ფიქრისთვის დრო საკმარისადაა

### თ. კიტოვანი გვთავაზობს დღევანდელი ვითარების პოლიტიკურ ანალიზს

მეხუთე გვერდი

## ჭაბუა ამირეჯიბი: საით მიგვაქანებთ, ბატონო პრეზიდენტო?

მეორე გვერდი

## «ნატოსკენ» მიმავალი ყველა გზა ჩახერგილი არ გვაქვს

მეექვსე გვერდი

## წმიდა მამათა ბინძური წერილი „არა ცილი სწამო!“

მესამე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ვლადისლავ არძინბამ უარი განაცხადა ედუარდ ბრუნერის წინადადებაზე

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების დარგში ედუარდ ბრუნერმა, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტს ვლადისლავ არძინბას სოხუმში ყოფნისას შესთავაზა საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა ჩართვა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესში. კერძოდ, ედ.ბრუნერის თქმით, აფხაზური მხარის თანხმობის შემთხვევაში, ინგლისის, აშშ-ის, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მორიგ რაუნდში. მაგრამ ვლადისლავ არძინბამ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ზემოთხსენებული ქვეყნების წარმომადგენლები მხოლოდ საქართველოს მეგობრები არიან და არა აფხაზეთის.

იბერია

## აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ოფიციალური ცნობა

აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ოფიციალური ცნობით, ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს ომამდელი მოსახლეობის 60 პროცენტი; აქედან 90 ათასი ქართველია. მათ შორის 60 ათასი ქართველი ცხოვრობს გალის რაიონში.

იბერია

## აფხაზური მხარე მზად არის გააფორმოს საქართველოსთან სამოკავშირეო ხელშეკრულება

სააგენტოს კორესპონდენტს მოსკოვში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რფ-ში ვაჟა ლორთქიფანიძემ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დავალებით ხელმძღვანელობს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესს, აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელს ანრი ჯერგენიას შესთავაზა მოლაპარაკებათა გამართვა ახალი ფორმატით. კერძოდ, ვაჟა ლორთქიფანიძის აზრით, მოლაპარაკებათა პროცესი უწყვეტი უნდა იყოს. აფხაზურმა მხარემ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მთავარია არა მოლაპარაკებათა უწყვეტობა, არამედ მხარეთა მზადყოფნა -. წავიდნენ კომპრომისზე აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით. აფხაზ სეპარატისტთა წარმომადგენელთა მტკიცებით, აფხაზური მხარე მზად არის კომპრომისისათვის. კერძოდ, იგი თანახმაა გააფორმოს საქართველოსთან სამოკავშირეო ხელშეკრულება.

იბერია

# დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

**ქვეყნდება პირველად**

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა 1977 წლის 1 აპრილი

### თავმჯდომარეობს - გრიგოლ აბაშიძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №51.



იოსებ ნონეშვილი

**ი.ნონეშვილი** - მე სამამულო ომის მონაწილე გახლავართ, იმ თაობას ვეკუთვნი და არა მარტო ჩემი თაობისათვის, არამედ ყველა თაობისათვის ცნობილია, რა საშინელება ფაშიზმი. კაცობრიობის ყველა გონიერ ადამიანს ფაშიზმი სძაგს და ახლა ფაშიზმზე ლაპარაკი, ფაშისტი გენერლის ეროვნულ გმირად გამოყვანა ჩემთვის წარმოუდგენელია.

მე მიჭირს, როცა ამას ვლაპარაკობ, როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობ იმიტომ, რომ მე ვამაყობ კონსტანტინე გამსახურდიათი, მაგრამ მე ვხედავ, რომ ფაქტია ეს პროკლამაცია, ამ ფაშისტი გენერლის ასე ეროვნულ გმირად გამოცხადება. მაგრამ, რაც მთავარია, ზვიადი ბრძანებს, რომ ჩემი დაწერილი არ არისო და ჩვენ, პრეზიდიუმის წევრებს სხვა წყარო არ გაგვაჩნია გარდა იმისა, რასაც პროკურატურა გვწერს, რაც პრესაშია, ის, რაც დღეს „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილი. მე ამაღელვა საქართველოს პატრიარქის წერილმა, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილი.* ეკლესიასაც უნდა ვერწმუნოთ და პროკურატურასაც იმიტომ, რომ მათ შეისწავლეს და გვწერენ. და თუკი ის შემდეგ დაადასტურებს, დაარწმუნებს პროკურატურას (ეს არ არის ამ საქმეში), ჩვენ ყველანი გახარებული ვიქნებით და ამოვისუნთქავთ, რომ ამ საქმეში მას მონაწილეობა არ მიუღია - არც ფაშისტი გენერლის ქებასა და არც ამ პროკლამაციის შედგენაში.

მაგრამ ჯერჯერობით ეკლესია, პროკურატურა გვიმტკიცებს და როგორც წესდებაშია - მწერალთა კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ დგას ჩვენს, საბჭოთა პოზიციაზე.

ამიტომ, მე, როგორც სხვებმა ბრძანეს, მიმაჩნია, რომ მწერალთა კავშირის წევრი არ უნდა იყოს ის, ვინც პროკლამაციას ავრცელებს და ფაშისტ გენერალს აქებს.

**თავმჯდომარე** - მორის!

**მ.ფოცხიშვილი** - შეიძლება გამეორება მომიხდეს იმისა, რაც უკვე ითქვა. ვერ წარმომედგინა, რომ ჩვენს წრეში, მწერალთა რიგებში და საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც ასეთ მიმართულებას მოუწონებდა ფაშისტი გენერლის მოქმედებას. ამიტომ შეშფოთებული ვარ, და თუკი ეს დადასტურდება, რომ როგორმე ვინმე მხარს უჭერდა ამ წერილებს, - ასეთი კაცი არ შეიძლება იყოს მწერალთა კავ-



მორის ფოცხიშვილი

შირის წევრი; თუ ეს მისი ხელიდან არის გამოსული, ის არ შეიძლება იყოს მწერალთა კავშირის წევრი.

**თავმჯდომარე** - კარლო!

**კალაძე** - მე მინდა განვაცხადო, რომ სხვებთან ერთად უახლოესი, ურთგულესი და უსაყვარლესი ადამიანი იყო ჩემთვის კონსტანტინე გამსახურდია და არის.

ეხლა, დღეს მე ძალიან ძნელ მდგომარეობაში ვარ. მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა ჩვენ ზვიადმა. არა მარტო თავისი თავი ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში, უპირველეს ყოვლისა თავისი თავი, მაგრამ უკიდურესად ძნელ მდგომარეობაში ჩამაყენა მე და ყველა მწერალი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში, თითქმის 40 წლის განმავლობაში როგორც კონსტანტინესთან, ისე ამ ოჯახთან ახლოს ვიდექით.

რასაკვირველია, მე ვეკუთვნი იმ ამხანაგებს, რომლებმაც (ჩვენ) კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟიშვილი მივიღეთ მწერალთა კავშირში. მეც მივეცი ხმა.

ახლა, ვინაიდან მწერალთა კავშირში ყოფნა - ეს ნიშნავს, რომ იზიარებდე შენ იმ შეხედულებას, იმ მდგომარეობას, იდეურად იდგე იმათ გვერდით, ვინც ამ მწერალთა კავშირშია გაერთიანებული, და როცა ადამიანი თავისი საქციელით უპირისპირდება მწერალთა კავშირს, მწერლობას, რა თქმა უნდა, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ. გარდა იმისა, რაც ჩვენ ამ დღეებში პრესაში წავიკითხეთ, მე მეტი არაფერი ვიცი. თუ კიდევ არის რამე, უნდა ვიცოდე ისიც. რაც პრეზიდიუმშია, ისიც უნდა ვიცოდე, მაგრამ რაც ოფიციალურად ჩვენს თვალწინ არის, მე ამისიც მჯერა.

რასაკვირველია, ჩვენ ბედნიერი ვიქნებოდით...

ჩვენ იმიტომ, რომ მწერალთა კავშირის ხმა - ეს არის ისტორიული სიტყვა ადამიანზე და მით უფრო ისეთ ადამიანზე, რომელიც შვილია კონსტანტინე გამსახურდიასი. - და, რასაკვირველია, ჩვენ ვიქნებოდით ბედნიერები, რომ ამ ამბავში დასაწყისშივე მიგვეღო მონაწილეობა. ეს მოხდა ჩვენს გარეშე. ჩვენ ახლა ვიხილავთ.

რაც წავიკითხე, რაც ზვიადს უთქვამს, დაუწერია, თუ მანქანაზე დაუბეჭდია, ამის წინააღმდეგი ვარ და არასოდეს არ გვქონია ამის შესახებ ჩვენ საუბარი. მე ათასჯერ შევხვედრივარ და ჩვენ არ გვქონია ამის შესახებ საუბარი, მაგრამ ეს მისი თვისებაა - აფეთქებული ხასიათის კაცია.

ამიტომ მწერალთა კავშირის უმრავლესობის აზრს ვიზიარებ, რომ ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლება, ეს სცილდება ყოველგვარ საკითხს, ეს არის სამშობლოს საკითხი, ეს არის პატრიოტული სინდისის საკითხი, ეს არის თვით კონსტანტინესთან დამოკიდებულების საკითხი. რაც არ უნდა მძიმე იყოს, პასუხი უნდა აგოს ზვიადმა თავისთავის მაგივრად, ზვიადმა პასუხი უნდა აგოს კონსტანტინეს მაგივრად და ჩვენს მაგივრადაც. ის უნდა ყოფილიყო ჩვენს გვერდით და რადგან არ ისურვა, მან უნდა მკაცრი პასუხი აგოს, და ის ამას შეურიგდა. მე მგონია, ჩვენთან ერთად მისი ყოფნა ძნელია და წარმოუდგენელი.



კარლო კალაძე

**თავმჯდომარე**.- კიდევ ვის სურს გამოთქვას აზრი?

**ალ.გომიაშვილი** - ვიდრე ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამდე, მინდა შევეკითხო ზვიადს. ზვიადმა რეპლიკა ისროლა, ის არის მწერალთა კავშირის წევრი.

თქვენ განაცხადეთ - ამისი არც რედაქტორი ვარ და არც ავტორიო.

თუ თქვენ რედაქტორი არა ხართ და არც ავტორი, როგორც მწერალთა კავშირის წევრი როგორ უყურებთ ამ ორგანოს პოზიციას? რა პოზიცია გაქვთ ამ ორგანოსთან? - და თუ თქვენ მონაწილე ხართ ამ ყველაფრისა, და იმის შემდეგ, რაც გაზეთში იყო გამოქვეყნებული, იმ სიტყვების შემდეგ, რაც მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის პროცესში მოისმინეთ - რა აზრი დაგებადათ და რა მოსაზრება გაქვთ?

**ზ.გამსახურდია** - მოკლედ მოგახსენებთ. სოლჟენიცინი რომ გარიცხეს კავშირიდან, საკუთარი ნაწარმოებისთვის გარიცხეს. თქვენ მაგდებთ იმისთვის, რაც ჩემი არ არის, უმთავრესად ანტიფაშისტური პროკლამაციის და მაღლაკელიძის ბიოგრაფიისათვის, რომლებიც ჩემი არ არის, ჩემი დაწერილი არ არის, მე არ ვაწერ ხელს. მე ვაგებ პასუხს მხოლოდ იმაზე, რასაც მე ვაწერ ხელს, რასაც მე ვწერ და ხელს ვაწერ. ეს რომ იყოს ჩემი ჟურნალი, მაშინ მოვაწერდი ხელს. შეიძლება ბევრ რამეს მე არ ვიზიარებ, ის პროკლამაცია ჩემთვის უცხოა. თუ არის ამ ჟურნალში რაიმე დოკუმენტური მასალა, ამას ვიზიარებ. აქ ცდილობენ გაცილებით მეტი დამაბრალონ მე, ვიდრე ეს სინამდვილეშია. პრესაც ამას ცდილობს.

პოზიცია? - ამაზე მე თავს ვიკავებ, ამას ბოლოს ვიტყვი.

**ალ.გომიაშვილი** - მე მგონია, ბევრი ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენი წესდება რასაც გვეუბნება, ჩვენი ვალდებულებაა, მწერალთა კავშირის წევრები უნდა ვიყოთ საბჭოთა პოზიციაზე და ვამართლებდეთ წესდებას. ვინც ამ წესდებას არ იზიარებს, ვინც ამ პოზიციაზე არ არის, ის მწერალთა კავშირის წევრიც არ უნდა იყოს.

**თავმჯდომარე** - ვის სურს გამოთქვას აზრი?

**ვანო თარბა** - მე უხერხულ მდგომარეობაში ვარ - როგორც ყველა, მე მინდა დავიწყო კარლო კალაძის სიტყვით. კონსტანტინე გამსახურდია ჩემთვის იყო ღმერთი, უდიდესი ქართველი კაცი და ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი ბოლომდე, ჩემი უფროსი მეგობარი და ძმა. როცა მამაჩემი მოკვდა, სპეციალურად ჩამოვიდა ოჩამჩირეში, ჩემს სახლში იყო და ძალიან ახლობელი კაცი იყო ჩემთვის და დღეს ჩემთვის ეს საკითხი ძალიან მძიმეა, მძიმე მდგომარეობაში ვარ, ისე როგორც ყველა თქვენ, სადღაც მე უფრო მეტადაც.

არ ვიცი, თუ ზვიადი დაამტკიცებს, რომ არაფერ შუაშია, მაშინ ხდება განა, რომ ჩვენს პრესაში ასეთი მასალა იყოს მოთავსებული და არ იყოს სწორი? იმ მასალების მიხედვით ზვიადს გაუჭირდება ჩვენს რიგებში, მწერალთა კავშირის რიგებში დარჩენა.

**თავმჯდომარე** - გიორგი!

**გ.ნატროშვილი** - ვანომ თქვა, რაც ყველა ჩვენგანის საწუხარია. გარდა ამისა, ჩვენი პრესა, ეს უცხოური გადმოცემები, ეს მასალა, ესენი ყველაფერი - როგორ შეიძლება?! ვუერთდები აქ გამოსულ ამხანაგებს.

**თავმჯდომარე** - ელგუჯა!

გაგრძელება იქნება

* რედ. 1977 წელს „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ზემოხსენებული წერილი „არა ცილი სწამო" იბეჭდება ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე

**შეკვეთილი წერილი, რომლის გამოქვეყნებაც სიგნალი იყო ზვიად გამსახურდიას დასაპატიმრებლად, იბეჭდება უახლოესი ისტორიის სურათის წარმოჩინებისათვის, იბეჭდება იმიტომაც, რათა მკითხველმა იცოდეს, თუ რა წერილზეა საუბარი მე-2 გვერდზე დასტამბულ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრების გამოსვლებში. „სასულიერო მამების“ ამ „ნალვაწის“ კომენტარი კი ერთადერთი ფრაზით შეიძლება, ქვემორე ხელმომწერთაგან ერთ-ერთი, მამა გაიოზ კერატიშვილი, ასე რომ იბრძოდა „სიწმინდისათვის“, მცირე ხნის შემდეგ ციხეში აღმოჩნდა მექრთამეობის, ქურდობისა და კიდევ უარესი ბრალდებით.**

# არა ცილი სწამო!

არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლო შენი, და არცა ამბორს გიყო ვითარცა იუდა.

იოანე ოქროპირი

ეფრემ ასურის ერთ-ერთი ლოცვა, რომელიც აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში დიდმარხვისას იკითხება, ასე მთავრდება: „ჰე უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდად' თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა“. აქ ცნობილი ორთოდოქსის ამოსავალ' პრინციპს იესო ქრისტეს შეგონება წარმოადგენს: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მოუწყოთ, მოგეწყოს თქვენ. ანუ რაისა ჰხედავ წუელსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი?“

რჯული გვიმოძღვრის: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“. პირველი „ახალი აღთქმის“, ხოლო ეს უკანასკნელი „ძველი აღთქმის“ შეგონებაა. ერთიცა და მეორეც, განკითხვაცა და ცილისწამებაც, ყოველთვის გაბოროტებული და შურიანი, მოყვასის მოძულე ადამიანის საძრახის იარაღად ითვლებოდა. შური, როგორც საბა ბრძანებს, „მწუხარებაა სხვისა კეთილსა ზედა“, მაგრამ ჩანს, რომ იმავე შურში კაცის წახდენის კაენისებური ბნელი გრძნობაცაა ჩაბუდებული. ძნელია ერთი სახელი მოეძებნოს, ერთ სიტყვაში გამოიხატოს, როცა განკითხვა და ცილისწამება, შური და სიძულვილი ყველა ერთად, ერთდროულად, ერთი უწმინდური კაციდან მოედინება. მოედინება, ვითარცა წლობით დაგუბარი ჭუჭყიანი და აყროლებული წყალი, რომელიც ირგვლივ ყველასა და ყველაფერს აბინძურებს, სიმშვიდე-სიმყუდროვეს არღვევს და პატიოსან ადამიანებს მოსვენებასა და ცხოვრების ხალისსართმევს.

ნუთუ დღევანდელ საზოგადოებაში უნდა მოიძებნებოდეს კაცი, ადამიანი, რომელსაც მთელი თვისი ცხოვრების მიზნად მხოლოდ შური და მტრობა, მხოლოდ მაბეზღრული და ცილისმწამებლური წერილების წერა ექნება? ნუთუ კაცობაზე, სინდის-ნამუსზე ხელს აიღებს და სულიან-ხორციანად გადაგვარდება ვინმე იმოდენად, რომ საკუთარი სამშობლოს სახელსა და ღირსებას მტერთა სისხლითა და ჭუჭყით გაპოხილ ფეხქვეშ გასათელად დააგდებს, მოყვასს, თუნდ მართლაც ცუდს და უვარგის, მათი ხმლით თავის მოკვეთას დაუპირებს? გვითქვამს და ვიმეორებთ: იუდამ თავი კი ჩამოიხრჩო, მაგრამ არ მომკვდარა. იგი დღესაც თესავს ადამიანთა მოდგმაში შურსა და ღალატს, და კვლავაც მაშინდებურად შემზარავად ჩხრიალებს ოცდაათი ვერცხლი, დამაბნელებელი სინდისისა და დამღუპველი კაცის ცხოვრებისა.

თუ გრიგოლ ორბელიანმა ერის დაცემის ერთ-ერთ სიმპტომად ენის წახდენა მიიჩნია, დიდმა ილიამ მაბეზღრობა და, კერძოდ, პოლიტიკური მაბეზღრობა დაასახელა. აი რას ბრძანებდა ქართველი ერის დიდი ჭირისუფალი: „უბედურება რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის – ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ასპარეზი მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება. როცა ბეზღობა, – ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმაპურს აწვდის მაბეზღარას... მაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბნობისას სამჭედურად აქვს ხოლმე ყოვლად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა, და საბერველად კიდევ „შაბაში“ და „ბარაქალ“ იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზღობა და ერთგულება ერთს ფარდაში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია. თითონ მაგ სამარცხვინო ფარ-ხმალის მჭედელს, ბეზღის მთქმელს, როგორც იქნება ადამიანი გაუძლებდა, მოიგერიებდა, რომ გამგონი და დამჯერი არა ჰყავდეს“.

დიახ, გამგონი და დამჯერი რომ არ იყოს, როგორც იქნება მართლა გაუძლებდა, მოიგერიებდა ივერიის ჭაღაროსანი ეკლესია იმ საზიზღარ ჭორებს, რომლებსაც მორწმუნეობისა და მამულიშვილობის ნიღაბს ამოფარებული ერთი ჩირქიანი ქართველი უვრცელებს და რასაც მთელი მოწიწებით „შაბაშსა“ და „ბარაქალას“ აყრის გადამთიელთა რადიო თუ პრესა.

ღვთივდაცული ქართული ეკლესია, რომელსაც თექვსმეტ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ყოველთვის თავად ყოფილა თავისი თავის ბედის მჭედელი და არასოდეს ორგულთა და ფარისეველთა გულშემატკივრობა არ სჭირვებია მას, თვით უკიდურესი განსაცდელის ჟამსაც კი. მისი უზენაესი მმართველია საქართველოს საეკლესიო კრება, ხოლო საკრებათაშორისო პერიოდში – კათალიკოსი და საღმრთო სინოდი.

ვითარცა ქრისტეს მსოფლიო ეკლესიის განუყოფელი ნაწილი, იგი დღენიადაგ ლოცულობს და იღწვის ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოებისათვის. ომის სურვილი, კაცთმოძულეობა და ბეზღება ყოველთვის უცხო ყოფილა მისთვის. თუმც ბევრი ჭირი და ურვა გადიტანა საკუთარ მხრებზე, გარნა სიყვარულმან ღვთისა და ერისამან სძლია ყოველივეს. დღეს ჩვენ, მისი მსახურნი, გამოვხატავთ რა ყოველი მორწმუნე პიროვნების აზრს, მთელი ჩვენი მღვდელმთავრული შეგნებით თავს ვალდებულად ვრაცხთ და ხმას ვიმაღლებთ იმ გარეწრების წინააღმდეგ, რომელთაც სატანა დაპატრონებიათ, რომელთაც წინაპართა აღსარება უარუყვიათ, ხელს არ აძლევთ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მთლიანობა, სახელს უტეხენ საერთაშორისო ასპარეზზე, რათა ბინძური ვნებათაღელვანი დაიოკონ და ეგებ რაიმე სასწაულით დასაყრდენი მოიპოვონ მის წიაღში, რომ უძველესი ეკლესია სექტანტობისა და უკეთური საქმიანობის ასპარეზად გადააქციონ.

ეს ყველაფრის მკადრებელი მანიაკები, რომელთაც მამულიშვილობისა და კეთილმორწმუნეობის ნიღაბს ამოფარებული ზვიად გამსახურდია მეთაურობს, თვალთმაქცობენ, ბინძურ ხერხს მიმართავენ, ეროვნული გრძნობების სპეკულაციას ეწევიან და ნადავლს კი რადიო „თავისუფლების“ და ზოგიერთი უცხოური ჟურნალ-გაზეთის ჭუჭყიან ბაზარზე ეზიდებიან გასასაღებლად.

და ეს არც არის შემთხვევითი...

ყველა ქართველისათვის, ვინც ზ.გამსახურდიას ცოტად თუ ბევრად ახლოს იცნობს, ნათელია, რომ ეს ფსევდოინტელიგენტი ვაჟბატონი „სიყრმით თვისიდგანვე“ გამოუსწორებელი ხულიგანი, გვარიანად გაწვრთნილი შანტაჟისტი და დახელოვნებული პროვოკატორია. მისი მოქმედების ძირითადი იარაღია მემკვიდრეობით დარჩენილი ფული და გარეცხილი სინდისი. ნებივრობაში, უსაქმურობაში გაზრდილი, მამის ავტორიტეტს შეხიზნული, ერისა და ეკლესიის ცრუ პატრიოტი, თავისი „ეროვნული მოღვაწეობის“ კრედოს მხოლოდ მასში ხედავს, რომ სხვათა საქმეებში, – რისიც არა გაეგება რა, – ხელი აფათუროს, სასურველი ინფორმაციები ჩხრიკოს და მოიძიოს, ჭორები გაავრცელოს, ალალმართალ ხალხს სახელი წაუხდინოს, სხვათა დამცირებითა და შეურაცხყოფით საკუთარ განდიდებაზე იოცნებოს, ზნედაცემული პირები მოქრთამოს, ბნელ საქმეებში ჩაითრიოს, ლანძღვის, მუქარის ასობით ანონიმური წერილი დააწერინოს, საშიშ დამნაშავეებად აქციოს, დასჯა-დაპატიმრებანი მოითხოვოს, ერთი სიტყვით, ქვეყანა შეაწრიალოს, იმუქროს, ილანძღოს და ყოველივე ამასთან ერთად ჰუმანისტისა და ადამიანის უფლებათა დამცველის სახელი დაიჩემოს. სად, რომელ ქვეყანაში თქმულა – მორწმუნეობა, კაცთმოყვარეობა' და შანტაჟი თუ დივერსია და პროვოკაცია ერთმანეთთან თავსდებოდეს, ერთმანეთს ერგებოდეს სად გაგონილა, ადამიანის უფლებათა და ღირსებათა პირველი ხელმყოფელი სხვათა უფლებათა დაცვაზე ზრუნავდეს?! ამაზე შორს ხომ ვერ წავა ვერავითარი ცინიზმი და არამზადობა.

მის მიერ ფულით მოსყიდული ვალენტინა ფაილოძე ეს რამდენიმე წელია ეკლესიიდან ეკლესიაში, ქალაქიდან ქალაქად დაიარება და ჭორებსა და მავნე ხმებს ავრცელებს. ზ.გამსახურდიას „განათლებული“ რჩევით იგი ხელს ოსტატურად იცვლიდა და ძველ ქართულ ენაზე, ვინ მოსთვლის, ვის და რის ლანძღვაგინებას აღარა წერდა იმ ანონიმურ წერილებში. ეს ვაჟბატონი საქართველოში „მხსნელად მოვლენილი მოციქულის“ სახელით რომ ავრცელებინებდა ეკლესიებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ვფაილოძეს, რომელიც 130-ზე მეტი ანონიმური წერილის ავტორია, თავისი მიეზღო, მაგრამ მისგან დიდად დავალებული ზ.გამსახურდია უნუგეშოდ არ ტოვებს თავის მარჯვენა ხელს, რადიო „თავისუფლებიდან“ ქვეყანას აგებინებს „სიმართლისათვის დევნილი გმირული და ვაჟკაცური სულის მქონე ქართველი ქალის მოწამეობას“.

აფსუს, შეგინებულო სახელო ქართველი ქალისაო! რომელ ქართველ ქალს უკადრებია ქუჩა-ქუჩა ხეტიალი და უცენზურო სიტყვებით ხალხის ლანძღვა-შეურაცხყოფა? ამ ორი ჭორიკანა „მორწმუნის“ მეგობრობამ ახალ „სიმაღლეს“ მიაღწია. საზოგადოების თვალის ახვევის მიზნით ზ.გამსახურდიამ მეორე ცოლთან შეძენილი ბავშვის ნათლობა შესთავაზა, მაგრამ მღვდელს წესის შესრულებაზე უარი განუცხადებია. ვიდრე ეკლესიაში შფოთსა და არევდარევას ტეხავთ, მე წესს ვერ შეგისრულებთო, – ეთქვა მოძღვარს. გაწიწმატებული გამსახურდია იმუქრებოდა: ეხლა მიყურონ, ეხლა კი ისეთ რამეს გავაკეთებთ, რაც აქამდე არ გამიკეთებიაო (?!).

არ მოელოდა, თუ მისი მამის შვილს უარით გამოისტუმრებდნენ.

ქართული ეკლესიის ამ არა მკითხე ვექილმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმსმა“ კამათი გამართა საქართველოს ეკლესიაზე. აალაპარაკა მტერი და მოყვარე. ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა, ქართული კულტურის მეგობარმა პროფ. დ.ლანგმა და ფულჰემისა და გიბრალტარის ეპისკოპოსმა და სხვებმა უსაფუძვლოდ გალანძღული ქართული ეკლესიის ავტორიტეტი დაიცვეს. ზ.გამსახურდიას შორეული კოლეგები – კლიფორდ ლონგლი და პიტერ რედევეი მის მიერ თბილისიდან მიწოდებული „მასალებისა“ და „დოკუმენტების“ საფუძველზე თავისას ამტკიცებენ, თავისას გაჰყვირიან, მოუწოდებენ, რომ საქართველოში არსებული ძალები, რომლებიც ცდილობენ ეკლესიის განახლებას, ეძებენ და საჭიროებენ საზოგადოებრიობის ჩარევას.

საოცარია, საქართველოს ეკლესიის „განახლების“ აზრს გადამთიელთა საზოგადოებრიობა წყვეტდეს. „ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო!“ „ყოველივე ბუნებანი იცვალებოდეს, ძრწოლით შეირყა ქვეყანაო“. ვინ ჩამოართვა მორწმუნე ქართველ ერს საქართველოს ეკლესიაზე ზრუნვის უფლება, რომ ფიქრით ოკეანეგაღმელები „იტვირთავენ“ თავს?

ალბათ გამსახურდიასა და ფაილოძის მრევლად წოდებულმა მ.კოსტავამ და ს.კაჭარავამ, ეკლესიას რომ „ჭირისუფლობენ“, და თავიანთ „მოძღვრებთან“ ერთად სხვათა ხელით ნარის გლეჯის ნაცად ხერხზე რომ გადადიან. მათ მაგვარზე წერს პავლე მოციქული: „არა იცოდეს არცა რასა-იგი იტყვიან, არცა ვიეთთათვის დაამტკიცებენ... ვითარცა იგი იოანე და იამბრე უხდებოდეს მოსეს, ეგრეთცა ესენი უხდებიან ჭეშმარიტებასა, კაცნი განხრწნილნი გონებითა, გამოუცდელნი სარწმუნოებითა“.

რაღა კლიფორდ ლონგლი და პიტერ რედევეი და სხვანი ძმანი მათნი?

საქართველოს ეკლესიამ ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მიიღო და უმასპინძლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიებიდან მოსულ დელეგაციებს. მათ შორის: კონსტანტინეპოლიდან, იერუსალიმიდან, ათენიდან, ამერიკიდან, დასავლეთ გერმანიიდან, ბულგარეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. აქ ჩამოსულსა და თავისი თვალით მნახველს ცუდი არა უნახავს-რა, ცუდი არა უთქვამს-რა და რაღა საქართველოსაგან ავადაც და კარგადაც მოშორებული ლონგლები და რედევეები კისრულობენ გაზეთებში ჩვენი ეკლესიის ავისა და კარგის გახმაურებას? მაგრამ თუ კაცს კაცი ეჯავრება, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, „ჭამა ჭყაპაჭყუპია და სიარული ტყაპატყუპიაო“.

ზ.გამსახურდიამ „განახლების აზრი“ საქართველოს ეკლესიისა ჯერ კიდევ 1968 წელს გამოამჟღავნა. როცა განსვენებული კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II შვეიცარიაში ბრძანდებოდა გაწვეული, მან ხულიგნების დახმარებით ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდება სცადა და კათალიკოსის გადაყენება მოითხოვა. ბ.ჯალალანია, რომელსაც არცერთი სამღვდელო ხარისხი არ ჰქონია, ბოდბეში გაამგზავრა, წმ.ნინოს საფლავზე დააჩოქა და თავი ეპისკოპოსად გამოაცხადებინა. იქ მას სურათი გადაუღეს, ნეგატივში „ეპისკოპოსის“ თავს გვირგვინი შემოავლეს და დამზადებულ ფოტოს გულუბრყვილო მორწმუნეებში დაატარებინებდა: კანონიერი ეპისკოპოსია, სულიწმიდის ნათელში იმყოფებაო. ზვიადს ჩანაფიქრი ვერ გაუმართლდა. სინოდმა საქმე გამოიძია და რამდენიმე პირი ქრისტიანობიდან განკვეთა კიდეც. ბ.ჯალალანიასთან შერცხვენილ-გამტყუნებულმა ზ.გამსახურდიამ ისლა მოახერხა, რომ „ეპისკოპოსი“ ბინაში ჩაიწერა და თავისი აკადემიკოსი მამის მდივნად გამოაცხადა. „ვისაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“...

რახან მთელი გუ[illegible] ვეღარც ის დაამტკიცა, რომ წმინდანის საფლავზე [illegible] ხარისხის [illegible]ტონიის გარეშე, პირში ჩალაგამოვლებული „დაშორდა“ ეკლესიას და ხელსაყრელ მომენტს დაელოდა. ვერც ამისთვის სანატრელმა მომენტმა – ეფრემ II-ის გარდაცვალებამ – ვერა უშველა-რა. ჯავრმორეული, ეს რამდენიმე წელია, მავნე პირების დახმარებით, უცხოურ რადიოსა თუ პრესას ყალბ ინფორმაციას აწვდის და ამ უკანასკნელის საშუალებით მტერსა და მოყვარეს გასძახის – საქართველოს ეკლესიაში სრული ანარქიაა, აბსოლუტური უწესრიგობა სუფევსო.

უცხოურ პრესაში ატეხილმა ხმაურმა დააინტერესა და ჩვენთან ჩამოიყვანა ამერიკულ გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ ყოფილი მოსკოველი კორესპონდენტი ელისაბედ პონდი. ჟურნალისტი ქალი, რომელმაც მოისმინა საქმის რეალური ვითარება, გაკვირვებული და გაოცებული გაბრუნდა უკან.

ზ.გამსახურდიას ოინებსა და ხრიკებს დასასრული არა აქვს. მისი საეკლესიო „განმანახლებლობა“ ესაა მხოლოდ და მხოლოდ სექტანტი კარიერისტისა და რენეგატის ბინძური საქმე, რომელსაც ხალხი არ აცდენს კაენის წყევლასა და იუდას სირცხვილს. ან როგორ შეიძლება დალაგებულ მორწმუნედ ჩაითვალოს ის, ვინც ცათა უმაღლეს და ანგელოსთა უწმინდეს ღვთისმშობელს ერთ თავის ჩიქორთულ ლექსში ასე მიმართავს: „დაო და დედაო“. გადავიკითხოთ ქრისტიანულ საგალობელთა ორიათასწლეული კრებული, თუ სადმე ამის მსგავსი აღმოჩნდება. ეს ხომ გაუგონარი მკრეხელობა და ანათემაზე გადასაცემი ფანატიზმია. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ამის შემდეგ განა ან მორალურად, ან იურიდიულად ხელეწიფება ამ ვაი-განათლებულ ღვთისმეტყველს საერთოდ ეკლესიაზე ლაპარაკი? საქართველოს ეკლესია ჯერ არ დაცემულა და არც არასოდეს დამდაბლდება ისე, რომ ვიღაც პარანოიკების დაცვა და მხარში ამოდგომა დასჭირდეს მას.

სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს. „ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ღირდაო“, – ამბობდა ილია ჭავჭავაძე. ამასაც არ ვიტყოდით, მაგრამ ამ სულიან-ხორციანად გადაგვარებული ჩირქიანი კაცის საქციელზე დუმილი და ყურმოყრუება აღარ ეგებოდა.

გულსატკენი და სამწუხარო კიდევ ისაა, რომ ქართული ეკლესიის ლანძღვა-გინება ეთერში ქართულ ენაზე გვესმის. იმ ენაზე გვესმის, რომელი ენაც თავად ამ ეკლესიამ თავის წიაღში გამოაწრთო, გაუხუნარი სამოსით შეამკო, დღევანდლამდე შემოინახა და ახლაც ფხიზელ დარაჯად უდგას მას. ალბათ ესეც „ქართლის ჭირის“ ერთი კაბადონია. „ყოველი თესლები გარემომადგეს მე და სახელითა უფლისათა ვერეოდი მათ“, – წერს დავით ფსალმუნთმგალობელი.

„ორღანოთა იხმია მტერმაო“.

მრავალჭირვარამგამოვლილ ქართულ ეკლესიას ვერავისი მტრობა და ქიშპობა ვერ შეაშინებს. იგი ღვთის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ჩვენ, ქართველ იერარქებს, გვაქვს სრული მორალური უფლება, ამაყად შევფიცოთ ღმერთსაცა და მორწმუნე ერსაც სახელოვანი წინაპრების სიტყვებით: „არა სადა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომელსა არცა განმცემელ ქმნილვართ“! იყავნ! იყავნ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
დავით V.
მიტროპოლიტი გაიოზი,
წილკნელი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი,
ეპისკოპოსი გიორგი,
მანგლელი,
ეპისკოპოსი გრიგოლი,
ალავერდელი.

17/III-77 წ. თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქის სარკე

# ქართველი მწერლები და 1991 წლის 2 სექტემბრის აქცია

## ქვეყნდება პირველად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო", №50, №51

### სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებისა 1991 წლის 12 სექტემბერი

### თავმჯდომარეობს - მუხრან მაჭავარიანი



## ჯაბუა ამირეჯიბი: საით მიგვაქანებთ, ბატონო პრეზიდენტო?

– აქ მიმართულება აღებულია ასეთი – ჩვენ რაღაცით უნდა გამოვეხმაუროთ სიტუაციას.

მე მინდა შეგეკითხოთ – ჩვენი აზრის გამოთქმა ხომ უნდა ემყარებოდეს სრულ ინფორმაციას? გაგვეცით პასუხი კითხვაზე – ვინ მიიყვანა ომონი? გინდათ მიიღოთ ჩემი ხელმოწერა?

**(ა.კალაძე – მე მინდა თქვენ ჩემთან ერთად მოითხოვოთ ამ კომისიის შექმნა).**

**(ჯ.ჩარკვიანი – სანამ ჩვენ არ გვეცოდინება ვინ გაგზავნა ომონი... ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ)**

**(ა.კალაძე – ვიცით).**

**(ჯ.ჩარკვიანი – თქვენ ისე იცით, როგორც მე, მაგრამ არ გინდათ თქვათ).**

**(დარბაზში ხმაური...)**

**ხმა დარბაზიდან – თქვით სიმართლე. ეხლა დაიწყეთ კომისიის შექმნა. არავითარი კომისია არ შეიქმნება იმიტომ, რომ ეს არ არის სახელმწიფო. ძალიან დიდი კატასტროფის წინაშე ვდგავართ. მე გარეშე პირი ვარ და აქ მოვედი აღელვებული.**

**ჯაბუა ამირეჯიბი** – აი აქ არის 6 გვერდი (აჩვენებს). მომეცით ნება წავიკითხო **(ხმები – წაიკითხე!). შეიძლება?..**

**მუხრან მაჭავარიანი** – ძვირფასო მეგობრებო, ნურავის ნუ ენდომება ისარგებლოს საქართველოში შექმნილი მდგომარეობით, რომ რაღაც გამორჩეს. ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც ღმერთს უნდა. თქვენ, ბატონო ჯაბუა, მე რა შეკითხვას მაძლევთ?

თქვენ ძალიან კარგად იცით მუხრან მაჭავარიანი ვინ არის საქართველოსათვის. ჩვენ მეგობრები ვართ და შენ კითხვას მისვამ, რომელიც მე მაინტერესებს და როგორ გაგცე პასუხი? მე სწორედ თქვენ გეკითხებით ვინ გააკეთა და თქვენ მე მეკითხებით?

**ჯაბუა ამირეჯიბი** – მეგობრებო, თქვენ გესმით, რომ მე ხმა არ მივარგა, ამიტომ გთხოვთ დამიგდოთ ყური. შეიძლება ამან უსიამოვნებაც გამოიწვიოს.

მე წინააღმდეგი ვარ პრეზიდენტის გადადგომის. დანარჩენი მოისმინეთ: კითხულობს)

საქართველოს ეძლევა სრულიად რეალური შესაძლებლობა მოიხსნას რუსეთის იმპერიის უღელი, იქცეს სუვერენულ, დამოუკიდებელ ჭეყნად და მოიმკას ორსაუკუნოვანი ბრძოლისა და მსხვერპლის მოსავალი – თავისუფლება და სახელმწიფოებრიობა!

ჩვენი უახლოესი მიზანი და აუცილებლობაა, ჩავერიოთ ცივილიზებული ხალხების თანაცხოვრებაში.

საქართველო არჩევანის წინაშე დგას: ან უნდა დავთანხმდეთ პირობებს, რომელთა შესრულების შემდეგ დანარჩენი მსოფლიო თავის ოჯახში მიგვიღებს, ან ავყვეთ ამბიციებს და ვირგუნოთ, უმჯობეს შემთხვევაში, ალბანეთისა თუ კუბის ხვედრი... დაყენებული პირობები ვისიმე კაპრიზი როდია. ჩვენს სინამდვილეში ხალხების ყველა სახის ურთიერთობები საერთაშორისო სამართლის ნორმებზეა დამყარებული. თანამშრომლობა, თვით პლანეტის ბედიც და უცხო კაცს იმ ოჯახში საპატიო ადგილი ძნელად მოეძებნება.

იმისათვის, რომ ჩავერთოთ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჯერ რუსეთის წითელი იმპერიის ნანგრევებზე შექმნილმა ადმინისტრაციამ და მერე დანარჩენმა მსოფლიომ გვცნოს სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ანუ „საერთაშორისო სამართლის სუბიექტად". ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევძლებთ ვიქცეთ დემოკრატიულ, სამართლებრივ საზოგადოებად მრავალფეროვანი საკუთრების ფორმებით, თავისუფალი ეკონომიკითა და ბაზრით, მიწაზე კერძო საკუთრებით და პრივატიზაციით, მტკიცედ გარანტირებული ადამიანის უფლებებითა და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტებით. ამ მოთხოვნებს ან პირდაპირ გვიყენებენ ან დუმილით მოელიან ჩვენგან მათ აღსრულებას და როგორც უნდა მოვზნიკოთ კუდი, მათი შესრულება უეჭველად მოგვიხდება.

ნუ მოვთხოვთ ჩვენს ხელმძღვანელობას, ანუ მთავრობას, პარლამენტს და პრეზიდენტს პასუხს იმაზე, რაც ამ ერთ წელიწადში ვერ გაკეთდა და იმაზეც კი, რაც გამოუსწორებლად გაფუჭდა. ნურც ნურასოდეს ვიზამთ ამას! აღვნიშნოთ მხოლოდ: ისტორიულ მოვლენათა განვითარების ტემპი იმდენად სწრაფი და მისი შედეგები იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჩვენ ვერ დავსახეთ სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკური გეზი, რის გამოც დავაგვიანეთ ფინიშთან მისვლა. აღვნიშნოთ ისიც, რომ თარიღმა მხოლოდ გადაიწია და თუ ჩვენ ახლა მაინც ავიღებთ სწორ კურსს, დაგვიანებული არაფერია.

რის გაკეთებაც გვმართებს, ზემოთ უკვე ვთქვით, მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, პოლიტიკური ძალების არსებული განლაგების პირობებში, საჭირო რეფორმების ჩატარება გაჭირდება, ან იქნება სულ ვერ მოხერხდეს. ეჭვგარეშეა, ჩვენს დღევანდელ პარლამენტში არიან რეალურად მოაზროვნე, ამბიციებისაგან თავისუფალი, სწორი ორიენტაციის მქონე ადამიანები, ვფიქრობ, საკმაო რაოდენობითაც, მაგრამ პარლამენტი იმყოფება ერთპიროვნული გავლენის ქვეშ, რაც ყველასათვის, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის ცნობილია. ეს პიროვნება არის პრეზიდენტი. მას გარკვეული მიზეზების გამო, საქართველოს ამჟამინდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და გადასაწყვეტი ამოცანებისათვის სრულიად შეუფერებელი კურსი და მეთოდიკა აქვს. შევეცდებით განვმარტოთ, თუ რატომ მიგვაჩნია ეს.

ცნობილია, რევოლუცია, თუნდაც ზემოდან ნებადართული, დრომოჭმულის ნგრევის პროცესია. ეს, პირველ ყოვლისა, ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში გამოიხატება, რადგან მასებისათვის აღთქმული სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ჩატარება მხოლოდ მას მერეა შესაძლებელი, როცა მართვის ძველი სისტემა დაინგრევა.

რევოლუციების სათავეში მოექცევიან ხოლმე, სახელდობრ, ნგრევის ტალანტით დაჯილდოებული პირები – ტალანტით, რომელიც საჭირო მეთოდიკის ათვისების, დახვეწისა და მარჯვედ გამოყენების უნარს ნიშნავს. ესენი დასანგრევს ანგრევენ, ამით იხვეჭენ სახელსა და უკვდავებას... ვინ – როგორს არის მეორე – ახლის შექმნის, შემოქმედების ტალანტი, ჩვენს შემთხვევაში – ძველის ნანგრევებზე ახალი სოციალ-ეკონომიკური სისტემის, ანუ სახელმწიფოს აღმშენებლობის ნიჭი.

ისტორიამ არ იცის მაგალითები, როდესაც რევოლუციის ბელადში ორივე ტალანტი ერთდროულად ყოფილიყო მოცემული. არ არსებობს რევოლუციის ბელადის მიერ შექმნილი ახალი ეკონომიკური ფორმაცია. ამის გასაკეთებლად სხვები მოდიან. და აშენებენ –ავს თუ კარგს, სხვა საკითხია, კრომველი, დანტონი, მარატი, რობესპიერი, ლენინი! მათ დაანგრიეს ძველი, მაგრამ ვერ შექმნეს ახალი სისტემა. ამის უპირველეს მიზეზად მესახება ის, რომ ახლის შენებისათვის ნგრევის მეთოდები გამოიყენეს იქ, სადაც შექმნის ტალანტი იყო საჭირო. ამიტომ მათ, მიუხედავად იმისა, შეძლეს თუ ვერ შეძლეს ძველი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების დემონტაჟი, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაამყარეს ახალი.

ჩვენი ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს მშენებლობაში ნგრევის მეთოდიკის გამოყენების ყველა შემთხვევის აღწერა შეუძლებელია. გავიხსენოთ მხოლოდ ზოგი, რამაც დღევანდელ ფეთქებად ვითარებამდე მიგვიყვანა.

ძალაუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდს „გზიდან ჩამოშორების" ხერხი ეწოდება. ეს არის შესაძლო კონკურენტთა თუ მოწინააღმდეგეთა, ან რაიმე მიზეზით პოპულარულ და, ამდენად, გავლენიან პირთა განუწყვეტელი კომპრომენტაცია. ამ ხერხს „მტრის ხატის" შექმნის ფუნქციაც აკისრია. როცა მოძრაობის ეფექტურობა იკლებს და მასის აქტიურობის პულსი ეცემა, ხელთ უნდა იყოს ობიექტი, ვის წინააღმდეგ მასის „აგორება", მოძრაობის ტონუსის აწევა მოხერხდებოდეს. სხვაგვარად ამას სიძულვილის გამძაფრება ჰქვია – სახელდობრ სიძულვილისა, რადგან ყოველი რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, შურისა და სიძულვილის პროდუქტია. ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა ნგრევის ფართო გამოყენებით ხასიათდება. იგი, ძირითადად, ინტელიგენტთა წინააღმდეგ იყო და არის მიმართული.

საზოგადოებაში უნდობლობა, შიში და გათიშულობა სუფევს. ამის დამთესს არ შეიძლება გააჩნდეს ერში სიყვარულის აღდგენის უნარი და ნგრევით კი ეროვნული თანხმობა ვერ მიიღწევა. ეს შემოქმედის, სახელმწიფოს მშენებლობის მისიაა.

ჩვენი რევოლუციის პროცესში, როგორც ეს ყოველთვის ხდება, გამოყენებული იქნა „მასების" აგორების მეთოდი, მათი ამოძრავება არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ განხორციელდა აღმგზნები მოწოდებების მეშვეობით. ეს მარჯვედ გამოიყენეს იმპერისტებმა და წინააღმდეგობები სისხლისღვრამდე გაამწვავეს. ამის გამო ხელისუფლებადქცეულ რევოლუციონერებისთვის ურთიერთობათა სტაბილირების გზები მოჭრილი აღმოჩნდა და მათ ვალისმიერ, ანუ ისეთ ნგრევის მეთოდებს მიმართეს: ამან არც სასურველი შედეგი მოიტანა და, პირიქით, მტრებს ჩვენს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედება გაუადვილა, დასცა ჩვენი საერთაშორისო პრესტიჟი.

ისტორიის მაგალითებს თუ გავითვალისწინებთ, ზემოთმოყვანილ წინააღმდეგობათა დაძლევა სახელმწიფოს მშენებელთა, ანუ რევოლუციონერთა შემდგომად მოსულ ხელისუფალთა საქმეა: ისინი თავის წინამორბედთა ნამოქმედარზე პასუხს არ აგებენ. მათი მშვიდობისა და შერიგებისაკენ მიმართული მოცადეობა მიზანს აღწევს...

გამარჯვებული რევოლუციის ბელადი მართვის სადავეებს რომ დაეუფლება, ზნეობრივად არის ვალდებული, თანამებრძოლებს შრომა დაუფასოს. მისი მდგომარეობა მოითხოვს ირგვლივ ერთგული ადამიანები ჰყავდეს და სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში უსიტყვოდ მორჩილი ხელქვეითები შემოიკრიბოს. ამგვარად, თუმცა ენერგიული, მაგრამ ძირითადად საქმის უცოდინარი, არაპროფესიული ხელისუფლება იქმნება. ამას წარუმატებლობა, ურთიერთ საყვედურები, თანამდებობებიდან განთავისუფლება და კონფრონტაციები მოსდევს, რაც იგივე ნგრევაა და არა შენება.

რევოლუცია მასების მიერ არსებული კანონების უარყოფის მეშვეობით ხორციელდება. ბელადის წინაშე, ძალაუფლების მოპოვებისთანავე მთელი სიმწვავით დგება თავაშვებული მასების კვლავ კანონის კალაპოტში ჩაყენების პრობლემა. ეს უძნელესი საკითხია, რადგან ადამიანთა უმრავლესობა რევოლუციამდე და შემდეგ რევოლუციის მიერვე კორუმპირებული და მართლწესრიგის ეფექტური სამსახურის შექმნა შეუძლებელია.

ამას გარდა, შემთხვევათა უმრავლესობაში, ბელადს, სანამ მდგომარეობას განიმტკიცებდეს, ეს თავაშვებული მასა სჭირდება, როგორც დასაყრდენი „ტახტის" შესაძლო კონკურენტებთან ბრძოლაში. განუკითხაობა, ძალადობა ანუ ნგრევა გრძელდება, არსებულ ხელისუფლებას ვითარების სტაბილიზების უნარი არ შესწევს. ამას ყოველთვის ახალი, მშენებელი ხელისუფლება სჩადის და ხელეწიფება კიდეც.

რევოლუციების ძირითადი ზარალი ულტიმატუმი და ძალის გამოყენებაა. სხვანაირად ძირმომპალი სისტემის ლიკვიდაცია ვერ მოხდება. ჩვენს ლიდერებს, სამწუხაროდ, ულტიმატუმების მეთოდიკა ოპოზიციასთან ურთიერთობისა და სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი კი არა, თითქმის ერთად-ერთ საშუალებად მიაჩნიათ. იმპერისტებთან რევოლუციის პროცესში გამწვავებულმა ურთიერთობებმა შეურიგებელი წინააღმდეგობების სახე მიიღო. ნგრევა, ქართველი ერის გლობალური დისკრედიტაცია გრძელდება, ორი სექტემბერი ძალის უადგილო დემონსტრაცია, წინააღმდეგობის ჩახშობის ცდა იყო და იმ გამოცდილების გულუბრყვილოდ მოვიწყების შედეგიც, რომ სროლით ოპოზიციასთან კომუნისტებიც ვერაფერს გახდნენ. ფეთქებადი ვითარება იმის შედეგია, რომ შენების ტალანტმა კუთვნილი ადგილი ვერ დაიკავა.

ყოველივე ზემოთქმულისა და სხვა მრავალ მიზეზთა გამოც საქართველოში ისეთი ვითარება ჩამოყალიბდა, რომ გამოსავალი ახლავე თუ არ იქნა ნაპოვნი, ქვეყანა შიმშილობის, რეპრესიების, ძალადობისა და სამოქალაქო ომის სისხლში დაიძირება. მდგომარეობიდან თავის დაღწევის პანაცეად ბევრს პრეზიდენტის გადადგომა მიაჩნია და ამას შემდეგი მოსაზრებებით ასაბუთებენ.

იმის მაგივრად, რომ დემოკრატიული რეფორმები – სახალხო მეურნეობის პრივატიზაცია ჩაატაროს, გადაწყვიტა შეაბას საქართველო ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტის, „სახელმწიფო კაპიტალიზმის მშენებლობის" უღელში და ამით შეინარჩუნოს საკუთარი დიქტატურა.

მიითვისა, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ხალხისა და გამათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მოპოვებული პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებით სარგებლობის მოქალაქეობრივი უფლებები, რადგან არის შესაძლებლობა, რომ ეს უფლება პრეზიდენტის კრიტიკისათვის იქნება გამოყენებული.

ახლილად მოუწოდებს მომხრეებს ამოჟლიტონ მისი მოწინააღმდეგეები (2 სექტემბერს მიტინგზე და მას მერე ყოველდღე), რითაც პრაქტიკულად სათავეს უდებს სამოქალაქო ომს და თავად არ ფიქრობს იმაზე, თუ რა მიზეზით უნდა ჰყავდეს ადამიანს ამდენი „მტერი".

პრეზიდენტი ღირსეულად ვერ ატარებს პოპულარობისა და ძალაუფლების ტვირთს, მართავს სასაცილო, მთელი ერის შემარცხვენელ აღლუმებს, პომპეზური ესკორტის თანხლებით დაჭრის ძვირადღირებული უცხოური მანქანებით, მაშინ, როდესაც ავადმყოფი ბავშვების დედები პრეზიდენტისავე ტელევიზიით სთხოვენ ათ დოლარს ხალხს მედიკამენტების შესაძენად.

საით მიგვაქანებთ, ბატონო პრეზიდენტო?!

ვითვალისწინებთ თქვენს პირად დამსახურებას ჩვენი სამშობლოს წინაშე, შეგნებული გვაქვს იმ ტვირთის სიმძიმე, რაც თქვენ მრავალი წლის მანძილზე ატარეთ ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში და თქვენს გულწრფელ სურვილს, მიიყვანოთ დაწყებული ისტორიული საქმე ბოლომდე და, ამასთან ერთად, ანგარიშს ვუწევთ რა დღევანდელი მძიმე დღეების მოთხოვნებს, დარწმუნებული ვართ, გამოიჩენთ კეთილგონიერებასა და მამულის ინტერესებისათვის მსხვერპლზე წასვლის უნარს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მზადდება დადგენილების პროექტი მდინარე ფსოუზე სასაზღვრო რეჟიმის შერბილების თაობაზე

სააგენტოს კორესპონდენტს მოსკოვში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტში მზადდება დადგენილების პროექტი საქართველო-რუსეთის საზღვარზე, მდინარე ფსოუზე, სასაზღვრო რეჟიმის შერბილების შესახებ. ეს დადგენილება მიზნად ისახავს აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერას. დსთ-ის ქვეყნების ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ტიხონოვმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სასაზღვრო რეჟიმის შერბილების თაობაზე, ანალოგიური გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზეც.

იბერია

### ვიქტორ სამსონოვი დაინიშნა რფ-ის გენერალური შტაბის უფროსად

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ვიქტორ სამსონოვი, რომელიც ორი კვირის წინ იმყოფებოდა საქართველოში, რფ-ის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებით დაინიშნა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსად. ვიქტორ სამსონოვის ყოფილ თანამდებობაზე კი დანიშნულია რუსეთის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი მიხეილ კოლესნიკოვი, რომელმაც 1993 წლის 25 სექტემბერს, რფ-ის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე სოხუმის დაცემა გამოაცხადა.

იბერია

### ე.წ. სამხრეთ ოსეთში გრძელდება მზადება საპრეზიდენტო არჩევნებისათვის

ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში გრძელდება მზადება 10 ნოემბრისათვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. საარჩევნო კომისიის მიერ უკვე რეგისტრირებულია პრეზიდენტობის 7 კანდიდატი, მათ შორის სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლუდვიგ ჩიბიროვი, ყოფილი პრემიერ-მინისტრები ვლადიმერ გაბარაევი და გერასიმე ბუგაევი, სამხედრო პროკურორი პეტრე კატაკოევი, სამხრეთ ოსეთის პარლამენტის საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი ოვსოევი, საგარეო საქმეთა მინისტრი იური გაგლოითი და, რაც ყველაზე საკვირველია, ჩრდილოეთ ოსეთის პრიგოროდნი რაიონის ადმინისტრაციის უფროსი პავლე თედეევი. ყველა მათგანმა უკვე შეაგროვა პრეზიდენტობის კანდიდატობისათვის საჭირო 1000 ხელმოწერა.

იბერია

# ციხეში ფიქრისთვის დრო საკმარისადაა

## თ.კიტოვანი გვთავაზობს დღევანდელი ვითარების პოლიტიკურ ანალიზს

საქართველოს განცხადებამ იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარებმა უნდა დატოვონ საქართველოს ტერიტორია და ამ განცხადების უკან ვინ დგას, ყველა ხვდებოდა. რასაკვირველია, რუსეთში მას ადეკვატური რეაქცია მოჰყვა და ისედაც ჩვენს „მოჩანჩალე“ პოლიტიკას წინააღმდეგობა შეუქმნა, რაც ლიად გამოხატეს გაიდარმა და ჟირინოვსკიმ.

არაოფიციალური წყაროებიდან რუსეთის თავდაცვის მინისტრის – იგორ როდიონოვის, თავდაცვის კომისიის თავმჯდომარის როხლინის და სამხედრო პოლიტოლოგის, პროფესორ სერებრიანიკოვის თათბირმა, სადაც მათ აღნიშნეს – „სამშობლო საფრთხეშია“, შეიმუშავდა ახალი სამხედრო კონცეფცია, რუსეთის სამხედრო მანქანის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად. დაუფინანსებლობის გამო თუ რუსეთის არმიას დღეს ბიუჯეტიდან 23% ეკუთვნის, თქვენ თვითონ ნახეთ, რომ ამ დღეებში არმიას დამატებით 9 ტრილიონი მანეთი დაუმატეს. ეს ის ვალებია, რომლებსაც გადაუხდიან სამხედროებს, რომლებსაც რამოდენიმე თვეა არ მიუღიათ ხელფასები. რუსეთის ჯარებიდან დაიწყო პროფესიონალური კადრების გადინება 30 წლის ასაკამდე, რაც დიდ შეშფოთებას იწვევდა ზემოხსენებული პროფესიონალური სამხედროების. ჯერ კიდევ რამოდენიმე სამხედრო ოლქში მოუწიათ სამხედროებს გაფიცვა „იტალიური წესით“. ჩემი ღრმა რწმენით, რუსეთის სამხედრო ძალებში შეიძლება მოხდეს ძალიან დიდი ცვლილებები, ვინაიდან უკიდურეს ზღვარს მიაღწია მათმა გაჭირვებამ. რასაც შეიძლება მოჰყვეს რუსეთის სამხედროების ალზევება თავიანთი პრობლემების გადასაწყვეტად.

რუსეთის არმიას შეუძლია გამოვიდეს პოლიტიკურ ავანსცენაზე და ადვილი შესაძლებელია დაამყარონ სამხედრო დიქტატურა ან ეხლა სამხედრო ელექტორატმა მოახდინოს ზეწოლა ადგილობრივი მმართველობის არჩევნებზე და გაიყვანონ მმართველი წრეები.

ამ მდგომარეობაში არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა ხელი აიღოს სამშვიდობო ჯარების შენახვაზე აფხაზეთში და გაიყვანონ სამშვიდობო ჯარები აფხაზეთიდან, არა ჩვენი პარლამენტის „ჭყიპინით“, არა იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, არამედ რუსეთის არმიაში და ძალოვან სტრუქტურებში მიმდინარე გადახალისებისა ან რეფორმების გამო.

მე მახსენდება, ჩემი ახალგაზრდობის დროს იყო ეგეთი ტერმინი „ატიაჟკაზე“ ავიყვანე ჩემი მოწინააღმდეგე. ჩვენს პარლამენტს და მის ლიდერს ეს დაემართა – „ატიაჟკაზე“ აიყვანეს და თვითონ შარვლები გაავსეს. ისეთი რეაქცია მისცა რუსეთის ხელისუფლებამ იმ ჩვენს გამოსვლებს, ჩვენ თვითონ აღმოვჩნდით იმედგაცრუებული „ატიაჟკაზე“. ეხლა რაც შეეხება ჩვენს მდგომარეობას: რუსეთის დუმაში, საქართველოს პოზიცია არასახარბიელოა, რუსეთის დუმაში ჩვენ უფრო მეტი მტერი გვყავს, ვიდრე მხარდამჭერი. რასაკვირველია, რუსეთი მხარს უჭერს აფხაზეთს და ატარებინებს იმ პოლიტიკას, რაც აწყობს თვითონ რუსეთის მმართველ წრეებს. ბატონი მიმინოშვილის ანალიზი და გამოსვლა ამ საკითხთან სწორედ იყო განალიზებული და გამართულად იყო ნათქვამი, მე ამიტომ არ მინდა მისი გამეორება.

ეხლა რჩება მთავარი თემა. ჩემის აზრით, რუსეთის სამშვიდობო ჯარებმა დატოვეს საქართველო და გავიდნენ, მოიშალა ბუფერული ზოლი, დავრჩით ქართველები და აფხაზები პირისპირ. ვინ მისცემს იმის გარანტიას საქართველოს, რომ ესენი შევლენ აფხაზეთში ან ის სული ექნებათ ქართველ მეომრებს, რომლითაც იბრძოდნენ 1992 წელს და რომ არა მართლა ღალატი ჩვენი მთავრობისა, მათი კაპიტულანტური პოლიტიკისა, დღეს ჩვენ ამ დღეში არ ვიქნებოდით. მე მეტსაც გეტყვით, ქართული არმია 1992 წელს უკეთ შეიარაღებული იყო და მეტი სამხედრო აღჭურვილობა ჰქონდა, ვიდრე დღეს. დღეს რომ გამოდიან არაკომპეტენტური ზოგიერთი დეპუტატი ან მოქალაქე და ჰაერზე ლაპარაკობენ, ერთი ჰკითხეთ, რამდენი ტყვია გავარდა ჩვენი მხრიდან აფხაზეთის ომში. რამდენი საბრძოლო ტექნიკა ჰყავდათ და რამდენი ჰყავთ დღეს. თქვენ შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ მე მაქვს მისი საბუთი – 60 მილიონი ტყვია გავარდნილა. თითო ტყვიის ფასი 350 მანეთია რუსული ფულით და მე არა მგონია დღეს ამის საშუალება ჰქონდეს თავდაცვის სამინისტროს ან იმის გათვლა ჰქონდეთ, თუ რა დაჯდება ომის წარმოება აფხაზეთში. ამიტომ არის, რომ შევარდნაძე ფეხს ითრევს და იხანგრძლივებს პრეზიდენტობას, ეგებ დასავლეთმა გადმოიხედოს მზრუნველობის თვალით, ან დაეხმაროს სამშვიდობო ჯარით ან იარაღით, რასაც რუსეთი არ დაუშვებს. ზემოაღნიშნულიდან რუსებისა და დასავლეთის ინტერესები გადაიჯაჭვა, რაც მოახერხა შევარდნაძემ, მაგრამ როგორ გამოძვრება აქედან, საინტერესო პროცესი შეიძლება დაიწყოს საქართველოში. დასავლეთსა და რუსეთს კარგად ესმის კავკასიის მნიშვნელობა ამ გლობალურ სტრატეგიულ ვითარებაში, რაშიც დღეს მთელი მსოფლიოა ჩართული. მე ამ შემთხვევაში შევარდნაძეს დავარქმევდი „ავანტიურისტს“. ყაზახისტანის ნავთობი შეიძლება ოხრად დარჩეს იმის მფლობელებს, სადაც შევარდნაძემ შეიტყუა და დააფინანსებია თენგიზის ნავთობსაბადოები. რაც შეეხება ჩრდილოეთ ყაზახისტანს, რუსები არაფრით არ დათმობენ, ესეც მათ გლობალურ პოლიტიკაში შედის, რადგან ყაზახისტანი სტრატეგიული მკვებავია მთელი ურალის. ყველა ვარიანტში შევარდნაძის პოლიტიკა ამ პერიოდისთვის განწირულია, თუ, რასაკვირველია, დასავლეთის გავლენა შუა აზიაში მაგრად მოიკიდებს ფეხს, მაგრამ რამდენად მყარად იქნება, ჯერ ამის თქმა ნაადრევია. შეიძლება მუსულმანურმა ფაქტორმა ყველასთან თანამშრომლობაზე უარი თქვას და თავიანთი პოლიტიკის გატარება დაიწყონ დამოუკიდებლად, რაც შეიმჩნევა, ჯერ ჩეჩნებთან მიმართებაში და მერე საერთოდ, თურქეთის გავლენა კავკასიაში. თურქეთი ცივილიზირებული მეთოდებით ცდილობს თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს კავკასიის რეგიონი, არ იშურებს თანხებს და შეპირებებს, მტრულ განწყობილებაშია სომხებთან და ოსებთან, – რუსეთის ნაფიც საყრდენებთან კავკასიაში. აფხაზებთან მიმართებაში თურქეთი ცოტას ფრთხილობს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა მათი აქტიური ჩარევა. აფხაზი სეპარატისტები მთლიანად გადასულები არიან თურქეთის დახმარების იმედზე, არც მალავენ და თვითონ თურქეთში შექმნილია მთელი ორგანიზაციები აფხაზი სეპარატისტების დასახმარებლად. ამიტომ არის, რომ აფხაზი სეპარატისტები ჩქარობენ რეფერენდუმის ჩატარებას, კონსტიტუციის მიღებას და არჩევნების ჩატარებას. რათა თუ საქართველო შემდგომში დააპირებს ძალისმიერი მეთოდებით თავისი იურისდიქციის აღდგენას აფხაზეთის ტერიტორიაზე, აფხაზ სეპარატისტებს ჰქონდეთ იმის საშუალება და არგუმენტაცია, რომ ქართველებმა ხელახლა დაიპყრეს აფხაზეთი და მსოფლიოს თვალში ქართველები გამოიყვანონ, როგორც აგრესორები.

სამშვიდობო ჯარების გასვლის შემდეგ აფხაზეთი რჩება უბუფერო ხაზად, ხდება ძალთა დაპირისპირება. სეპარატისტები ყველანაირად შეეცდებიან შეინარჩუნონ თავიანთი გავლენა გალსა და ოჩამჩირეში. თუ გალსა და ოჩამჩირეში, სეპარატისტებმა მარცხი განიცადეს, მაშინ მთლიანად დაკარგავენ კონტროლს აფხაზეთზე, რაზეც მე ადრე მქონდა საუბარი. აქ მძლავრად უნდა ამუშავდეს სამეგრელოს ფაქტორი იმ ძალების დახმარებით, რომლებიც ჩართულნი იყვნენ კონფლიქტის ზონაში. აქ უკვე შევარდნაძის მშვიდობიანი კურსი და მშვიდობიანი კავკასია დამთავრდება კრახით. მშვიდობიანი კავკასია იქნება მაშინ, როცა ყველა კავკასიელი იქნება თავის მიწის პატრონი იმ ისტორიულ მიწებზე, რომელიც მაღალმა ღმერთმა მიანიჭა მათ. აქ საქართველოს პოლიტიკა უნდა გადავიდეს დეკლარირებული ფრაზებიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, პრაქტიკულად რასაც აკეთებდა ეროვნულგამანთავისუფლებელი ფრონტი, რის გულისთვისაც ჩვენ დაგვსაჯეს, ჩვენი ერის ერთიანობისათვის შევეწირეთ მშვიდობიან პოლიტიკას და ტერიტორიების დაკარგვას. ღმერთი ფარავდეს ერთიან დამოუკიდებელ საქართველოს.

თ.კიტოვანი

# «ნატოსკენ» მიმავალი ქვეყანა გზა ჩახერგილი არ გვაქვს

## საქართველო ახალი მსოფლიო წესრიგის სამსახურში

**თენგიზ გოგოტიშვილი**

ჩვენმა რეფორმატორულმა საუკუნემ, განსაკუთრებით კი უკანასკნელმა ათწლეულმა, მრავალ ... ცნებას შეუცვალა ტრადიციული ...ება. ასევე არმიამ, რომელიც ...ულების განმავლობაში ომთან და ხგრევასთან ასოცირდებოდა, ნელ-ნელა სრულებით ახალი - მშვიდობისმყოფლის ფუნქცია შეიძინა. ჩვენს თვალწინ დღეს მყარდება ახალი მსოფლიო წესრიგი, უფრო სწორად, იქმნება მისი დამყარების ახალი მექანიზმი.

...ოფლიო წესრიგის დამყარების მცდელ...ები ჯ...რ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ...კონ...თ დიდ ერებს, დიდ ცივილიზა...ციებს - ბერძნებს, რომაელებს, ბიზანტიელებს. მათ შემდეგაც უძლიერესი სახელმწიფოები ცდილობდნენ ამა თუ იმ დიდ რეგიონზე თავისი კონტროლის გავრცელებას, მაგრამ ამას როგორც წესი, თან იმ რეგიონის სახელმწიფოთა კოლონიზაცია მოჰყვებოდა. ასე გაგრძელდა ჩვენი საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც მსოფლიო ომის შემდეგ მორიგი გადანაწილება მოხდა და ევროპა (და არა მხოლოდ ევროპა) ორ ძირითად ბანაკად გაიყო - ერთ მათგანზე კონტროლს ახორციელებდა აშშ და მისი რამოდენიმე ევროპელი პარტნიორი, მეორეზე კი - საბჭოთა კავშირი. არსებობდა შედარებით ნაკლებგანვითარებულ სახელმწიფოთა კიდევ ერთი ჯგუფი - „მესამე მსოფლიო", რომელიც ორივე ძირითადი პოლუსის გავლენას განიცდიდა, მაგრამ პლანეტარული მასშტაბით მისი როლი საკმაოდ უმნიშვნელო იყო.

უკანასკნელ ათწლეულში კი ვითარება მკვეთრად შეიცვალა. არსებული თანაფარდობა სოციალისტური ბლოკის დაშლით უეცრად დაირღვა და მრავალი კონფლიქტით მოცულ ...ოფლიოში ერთადერთ რეალურ ...ად დასავლეთი დარჩა.

ამ პერიოდიდან უფრო აშკარა გ...და დასავლეთისა და მისი ძალოვანი ბერკეტის - ნატოს სამხედრო ბლოკის მისწრაფება ახალ რეგიონებზე თავისი გავლენის გავრცელებისაკენ. ამ მიზნით კიდევაც შეიქმნა ნატოს საგანგებო პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის", რომელშიც ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები გაერთიანდნენ. ზოგადი განსაზღვრებით, მისი ამოცანაა ამ ქვეყნების ჩართვა ისეთ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს ევროპაში (და მის ფარგლებს გარეთაც) საერთო უსაფრთხოების განმტკიცებას და ერთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარია ახალ მსოფლიო წესრიგზე, რომელსაც განვითარებული დასავლეთი ამყარებს და ეტაპობრივად აფართოებს.

როგორც ვთქვით, ახალი წესები უწინდელისაგან სავსებით განსხვავებულია. ახალ მსოფლიო წესრიგში მრავალი ქვეყანა მონაწილეობს ისე, რომ მისი სუვერენიტეტი არათუ დაკნინებული არაა, არამედ პირიქით - მას სტაბილურობისა და კეთილდღეობის მეტი გარანტია ეძლევა. რა თქმა უნდა, ამ პროცესს თავისი ლიდერები, ტონის მიმცემები ჰყავს - აშშ და მისი დასავლეთ ევროპელი მოკავშირეები. მაგრამ იმის თქმა, რომ პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ყველა თანამედევი პროცესით თავსმოხვეულია და არ ემთხვევა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებს, შეუძლებელია. მათ ნატოს მუდმივი წევრების სახით ძლიერი მფარველები იპოვნეს, რომლებთან თანამშრომლობაც ააცილებთ შესაძლო საფრთხეს აღმოსავლეთიდან ან სამხრეთიდან.

შემთხვევითი არ იყო, რომ ამ პროგრამას 1994 წლის იანვარში მისი გამოცხადების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში 27 ქვეყანა შეუერთდა. სახელმწიფოები, რომლებიც წინათ ვარშავის ბლოკს ეკუთვნოდნენ, მისი დაშლის შემდეგ სერიოზულად დაფიქრდნენ საკუთარ უსაფრთხოებაზე. რუსეთში აღმავალი რეაქციის შესაძლო გამარჯვების შემდეგ მორიგი „ნებაყოფლობითი მიერთების" თავიდან ასაცილებლად ისინი გაერთიანდნენ პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს არა მარტო პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ, არამედ სამხედრო თანამშრომლობასაც დასავლეთთან.

დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ ყველა წევრი ადგენს ინდივიდუალურ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნის შესაძლობებსა და საჭიროებებს და არეგულირებს მის ორმხრივ ურთიერთობებს ნატოსთან.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კი ახალ მეგობრებს ურთიერთმოქმედების მრავალ სფეროს სთავაზობს: ეროვნული სამხედრო ძალების აღმშენებლობაში ხელშეწყობა; მათ ფუნქციონირებაზე დემოკრატიული კონტროლის გამყარება; საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის კოორდინირება; ჰუმანიტარული და სამაშველო ოპერაციების ერთობლივი ჩატარება; ამა თუ იმ ქვეყანაში მისიებისა და სამხედრო ქვედანაყოფების მივლინება მშვიდობის დაცვის ოპერაციების ჩატარებისათვის; მეცნიერული მუშაობა განიარაღების, კოსმოსური კვლევისა და სხვა სფეროებში; აგრეთვე წმინდა სამხედრო თანამშრომლობა - შეიარაღებისა და ტაქტიკის მაქსიმალური უნიფიცირება, ერთობლივი დაგეგმვა, სამხედრო კადრების აღზრდაში დახმარება, სხვადასხვა ქვეყნის საბრძოლო ქვედანაყოფების ურთიერთმოქმედების გამომუშავება და ა.შ.

ჩვენებური ადამიანისათვის „მსოფლიო წესრიგის" ცნება რაღაც უარყოფით მუხტს ატარებს - ასოცირდება „მსოფლიო პოლიციელთან", რითაც საბჭოთა იდეოლოგია ამკობდა ხშირად აშშ-ს. მაგრამ ამ იდეოლოგიამ და წყობამ ერთმანეთი მოინელეს და აშკარა გახდა, რომ გამონთავისუფლებული ადგილი ვინმეს უნდა შეევსო.

იდეალური ვარიანტია, როდესაც დემოკრატია საუკუნეებით ვითარდება და იხვეწება, მაგრამ თუკი რომელიმე ქვეყანაში არსებული რეჟიმი უხეშად არღვევს მოქალაქეთა ელემენტარულ უფლებებს, თავისივე ტერიტორიაზე აწარმოებს „წმენდას" ეროვნული, სარწმუნოებრივი, რასობრივი თუ სხვა რამ პრინციპით, იქცევა ტერორიზმის ცენტრად და საფრთხეს უქმნის მეზობელ სახელმწიფოებს, ძალის გამოყენება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სავსებით დასაშვებია. ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანობას დღეს არავინ იხსენიებს აუგად მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე ცეცხლითა და მახვილით ვრცელდებოდა. საკითხი მხოლოდ ასე დგას - რას წარმოადგენს ეს საერთაშორისო თანამეგობრობა - ბოროტ ძალას თუ კეთილს, რა მოაქვს მას კონკრეტული სახელმწიფოსა თუ რეგიონისთვის - მშვიდობა თუ ახალი დაძაბულობა, დისკრიმინაცია თუ პიროვნული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა?

დღესდღეობით შექმნილია ისეთი ვითარება, რომ თანამეგობრობა, რომლის ძირითად ბერკეტებს გაერო და ეუთო, ძალას კი - ნატო, წარმოადგენენ, ფლობს კონტროლის ისეთ მექანიზმებს, რომლებიც იძლევიან მისი ჯარების მოქმედების დემოკრატიულობის გარანტიას - საზოგადოებრიობა ნატოს სახელმწიფოებში არ დაუშვებს თავისი შეიარაღებული ქვედანაყოფების მიერ ბოროტი ძალის მსახურებას, მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვა-ჟლეტასა და შევიწროებას, დიქტატურის დამყარებას და ა.შ. საამისოდ იქ კონტროლისა და ზეგავლენის უამრავი მექანიზმი ჯარსებობს - პრესა, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ბოლოსდაბოლოს, არჩეული პარლამენტი და მთავრობა, რომელთა გადარჩევაც, მოქალაქეთა სათანადო ნების შემთხვევაში, ყოველთვის შეიძლება...

ამას დასავლეთში სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლი ეწოდება. ამ პრინციპის დანერგვას იგი კომუნიზმისაგან ახლადგანთავისუფლებულ ქვეყნებშიც ცდილობს. არმიაზე სამოქალაქო კონტროლის დონე, რომელიც დღეს ნატოს ქვეყნებში არსებობს, იძლევა გარანტიას, რომ იქაურ გენერლებს არასდროს მოუვათ თავში სახელმწიფო გადატრიალების, ახალი ომის წამოწყების, რეალური სამხედრო ბიუჯეტის ციფრების გასაიდუმლოების, ჯარის პრობლემების დამალვისა და ათასი სხვა იდეა, რისკენაც სამხედროებს, როგორც ვიცით, დიდი მიდრეკილება აქვთ.

გავიხსენოთ, თუნდაც, აფხაზეთის ომის დაწყება და მიმდინარეობა, ან რუსეთის მიერ ჩეჩნეთში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა" და ნათელი გახდება, სადამდეც შეიძლება მიგვიყვანოს ისეთმა ვითარებამ, როდესაც შეიარაღებული ადამიანები (თუკი ამასთან დიდი უგუნურებითაც გამოირჩევიან) არავის წინაშე აგებენ პასუხს.

სწორედ ასეთი კოლიზიებისაგან თავის დაღწევის სურვილმა მიიყვანა დასავლეთი იმ გამოცდილებამდე, რომ არმია უნდა წარმოადგენდეს არა დამოუკიდებელ ერთეულს, როგორც ეს საბჭოთა კავშირის ტრადიციაში იყო, არამედ ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელიც, ისევე როგორც ყველა დანარჩენი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, საერთო ეროვნულ ინტერესს ემსახურება. ამიტომაც არის, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანაში ჯარს (სპეცსამსახურებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს) სამოქალაქო პირი ხელმძღვანელობს. იგი თავს ქვეყნის მთავრობის, და არა სამხედრო წრეების წარმომადგენლად აღიქვამს და არმიაზე საზოგადოებრივი კონტროლის უმთავრეს რგოლს წარმოადგენს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი სამხედრო დაგეგმვის - თავდაცვითი ბიუჯეტის ღიაობაა. ამ ბიუჯეტზე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მსჯელობს პარლამენტი, თუ საჭიროა გახდა, პრესა და უფრო ფართო საზოგადოებაც და ყველამ იცის, რამდენი მოხმარდება მომავალ წელს სტრუქტურულ რეორგანიზაციას, რამდენი - შეიარაღების ახალი მოდელების შესყიდვას, რამდენი - სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რამდენი - ამა თუ იმ რეგიონში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობას და ა.შ. ამდენად, მოქალაქეები და მათი წარმომადგენლები - დეპუტატები წლის დასაწყისში უშუალოდ მონაწილეობენ არმიის მშენებლობის დაგეგმვაში, წლის ბოლოს კი ყველაფერზე დაწვრილებით ანგარიშს იღებენ.

ასეთი მექანიზმი სრულებით გამორიცხავს სამხედროების თვითნებობასა და უკონტროლობას. ცხადია, იგი იდეალურია იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც დემოკრატიის გზაზე ახლად შემდგარი არიან.

კონტროლისა და საჯაროობის ამ მოთხოვნებს აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახელმწიფო, რომელიც ნატოსთან თანამშრომლობას გადაწყვეტს და შეუერთდება „პარტნიორობას მშვიდობისათვის". მაგრამ თანამშრომლობა ამით არ ამოიწურება - ისინი ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ჰუმანიტარული ოპერაციების ჩატარებაში და ა.შ.

ეს, როგორც იტყვიან, პროგრამა-მინიმუმია. პროგრამა-მაქსიმუმი კი მათგან, ვისაც უშუალოდ ნატოს ბლოკის წევრობა სურს („პარტნიორობის" მონაწილე ოცდაშვიდი სახელმწიფოდან დღეისათვის სათანადო სურვილი თერთმეტმა გამოთქვა) გაცილებით მეტს მოითხოვს. ეს, პირველ რიგში, არის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტაბილურობა, როდესაც მთავრობათა ცვლას არ მოჰყვება დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკაზე უარის თქმა, განვითარებული ეკონომიკა, სხვა სახელმწიფოებთან ტერიტორიული უთანხმოების არქონა, საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიური და კონსტრუქციული წევრობა, არმიის ტაქტიკის, შეიარაღების, სტრუქტურის, სამხედრო განათლების სისტემის ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამ ყველაფრის განხორციელება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საკმაო დროსა და სახსრებს მოითხოვს და, უკეთეს შემთხვევაში, 5-6 წელი გრძელდება. სწორედ ამდენი დასჭირდათ პოლონეთს, ჩეხეთსა და უნგრეთს იმისათვის, რომ ნატოს წევრობის ყველაზე პერსპექტიულ კანდიდატთა სახელი დაემკვიდრებინათ. 1996 წლის ბოლოს ან 1997 წლის დასაწყისში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მხოლოდ ბლოკში მათი გაერთიანების პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს, სრულფასოვან წევრობას კი კვლავ რამოდენიმეწლიანი დაძაბული მუშაობა დასჭირდება.

ნატოში გაწევრიანების რიგში, სხვათაშორის, სლოვენიაცა და ალბანეთიც კი არიან. ეს იმის ნიშანია, რომ ნატო და მისი ახალი მსოფლიო წესრიგი სულ უფრო მეტ ძალას იკრებს და დიდი პერსპექტივა აქვს.

მოვლენათა ასეთი განვითარება ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ინტერესებში შედის, რუსეთისა და, როგორც შედეგი, ბელორუსიის გარდა. ამას არა მხოლოდ რუსების ნატოსადმი წლობით ჩამოყალიბებული ანტიპათია განაპირობებს, არამედ პრაგმატული მიზეზიც -ყოფილი მოკავშირეები, „უმცროსი ძმები", რომლებიც ახლა ამერიკული საჭურველით იარაღდებიან, მათ სტრუქტურასა და ტაქტიკაზე გადადიან, ოფიცრებს დასავლეთის სამხედრო სასწავლებლებში ამზადებენ და ნატოს მანევრებში მონაწილეობენ, ცხადია, მოსკოვის გავლენის არეალში ვეღარ დარჩებიან.

გაგრძელება მე-8 გვ

### [illegible]

### პარლამენტში შეჭრისათვის

ისნის სასამართლოში დასრულდა „კაპეზეს" უფროსის ყოფილი მოადგილის ვაჟა იაშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც დაპატიმრებულ იქნა 1994 წლის 31 მარტს პარლამენტში შეჭრისა და ამ აქციის ორგანიზატორობის ბრალდებით.

სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას არ იქნა დაკმაყოფილებული ადვოკატ თ.გოქსაძის არც ერთი შუამდგომლობა:

1. ვახტანგ რჩეულიშვილისა და დავით ზეიკიძის (რომელიც მოვიდა სასამართლოში, მაგრამ არ შეუშვეს) მოწვევა.

2. პარლამენტში გადაღებული ვიდეოფირის სასამართლოზე ჩვენება, რომელზეც დამცველის თქმით, გია ბარამიძისა და ელდარ შენგელაიას ჩვენებების საპირისპიროდ თვალნათლივაა ასახული, რომ იაშვილს არავისთვის მიუყენებია ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობის ფაქტს იქ ადგილი არ ჰქონია.

3. პოლიციელების მოწვევა (კამკამიძე, ჩორგოლაშვილი, უზარაშვილი), რომლებმაც ბრალდებული დააკავეს.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ქალაქის ყოფილი მერის ოთარ ლითანიშვილის დაკითხვა (ავადმყოფობის გამო საქართველოში არ იმყოფება კარგა ხანია), მაგრამ მისი ჩვენება არის საქმეში.

*გამოძიების მიერ წაყენებული ბრალდებები* - ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, თუ მას ახლდა ძალადობა ან იარაღის გამოყენება, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება (მუხ. 187. III ნაწ.);

ორგანიზება ან აქტიური მონაწილეობა ჯგუფურ მოქმედებაში, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს (206. III); იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება (მუხ. 238. ნაწ. 1,2) - სასამართლომ დაადასტურა და განაჩენი გამოიტანა: 5 წელი გაძლიერებულ შრომა-გასწორების კოლონიაში.

ია ბუკოვსკაია

### საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია ვ.არძინბას შეხვდა

„საპარლამენტო არჩევნები აფხაზეთში ხელს ვერ შეუშლის საქართველოსთან მოლაპარაკებების პროცესს" - განაცხადა ვარძინბამ სოხუმში, დსთ-ს სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის დელეგაციასთან შეხვედრის დროს. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს მოსკოვში საქართველოს საელჩოდან აცნობეს. არძინბას თქმით, ამჟამად აფხაზეთში მისი მოქალაქეთა უმრავლესობა ცხოვრობს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთს საქართველოსთან არა აქვს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა და ვალდებული არაა მასთან შეათანხმოს თავისი საშინაო საკითხები. საპარლამენტთაშორისო დელეგაციის წევრთათვის აფხაზეთის პარლამენტში გაიმართა შეხვედრები.

იპრინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი – წუთისოფლის ვენახი

# გურულები იცინიან თავიანთ გაჭირვებაზე

არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



### ფული არ არის...

წელს იანვარ-თებერვალი და ივლის-აგვისტო ჩემს მშობლიურ სოფელში, სილაურში (ოზურგეთის რაიონი), გავატარე და ვხედავდი: ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, თითქმის ნახევარი სოფელი ადრე დილიდანვე ფოსტის წინ გროვდებოდა და პენსიის თუ ხელფასის მისაღებად რიგში დგებოდა. ზამთარში ცოცხალი რიგი ჰქონდათ. რომ გამოზაფხულდა და სამუშაოები მოეძალათ, სიებს ჰქმნიდნენ და ნაშუადღევს ავტობუსის მოსვლამდე ისევ თავს იყრიდნენ. ფოსტის გამგე ჩვეულებრივ, გარდა თითო-ოროლა ბედნიერი დღისა, ავტობუსიდან თავს გადმოყოფდა და შემოხვეულ ხალხს ხელის გაქნევით გადმოსძახებდა:

– ფული არ არის!

ნახევრად მოშიმშილე ხალხი ბუზღუნით, ლანძღვა-გინებითა და წყევლა-კრულვით იშლებოდა.

– შაქრო ბიძია, სიაში ჩაეწერე? – ეკითხება ახალგაზრდა ქალი მამაჩემს, 87 წელს მიტანებულ გლეხკაცს, რომელიც სულ მალე გარდაიცვალა კიდეც.

– ამ მთავრობას გაუწყრა გამჩენი, გაგვამწარა და სასიებოდ გაგვხადა საქმე. შემეძლოს, კარგად გავასიებდი მაგათ! – ნერვებს ვერ იოკებს ბერიკაცი.

### აი, რატომ ჯობია ქორწილს ქელეხი...

მეზობელ სოფელში კაცი გარდაიცვალა, რომლის შვილი რომელიღაც რაიონში პროკურორი ყოფილა.

– ახლა ერთ კვირას, ვიდრე დაასაფლავებდნენ, დენი გვექნება, – ითქვა სოფელში და ასრულდა კიდეც. ამან ბევრი წაახალისა და [illegible] და მქარის გარეშე გადაიხადეს ის ორი ლარი, რომელსაც თვეურ საფასურად თითოეული ოჯახისაგან ელექტრომრიცხველზე დაუხედავად თხოულობენ. მაგრამ გავიდა ხანი და, უშუქო დღე და ღამე ერთმანეთს რომ წაეწყო, ხალხი აყაყანდა:

– გვლანძღავენ, ელექტრონის ივარაუდო, „უსინიკოდ", მოჭრით ფულს გვახდევინებენ, დენს კი არ გვაძლევენ. გაუნძრევთ, მეზობლებო, ხელმძღვანელობას მოვმართოთ, რაღაც გავაკეთოთ!

– არაფერი გამოგვივა, – თქვა ერთმა, – ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ისევ ღმერთს ვეხვეწოთ, რომ რაიონში ვინმე დიდი კაცის ახლობელი გარდაიცვალოს!

– ქორწილი არ გვიშველის? – იკითხა მეორემ.

– ქორწილი – არა! დიდკაცობა ქორწილს სამდლიანს კი იხდის, მაგრამ შინ – არა, რესტორანში მართავს!

### ვანგას პატიოსნების ამბავი

– ხალხო, გაიგეთ? „ალიონმა" გადმოსცა, ვანგა გარდაიცვალა და, იცით, რა დაუბარებია? გულზე ქართული მიწა დამაყარეთო! – აგვისტოს ლამაზ დილას „თემში" თავშეყრილ ხალხს აუწყა ერთმა, რომელიც მეზობელს თხილის კნატუნით შემოუერთდა.

– აუ, რა გულშემატკივარი დაკარგა საქართველომ! – იცინის მეორე. – მარა, მაგი მთლად პატიოსანი არ უნდა ყოფილიყო.

– რატომ? – გაიკვირვა ვიღაცამ.

– რატომ და... გახსოვთ, ჯაბა იოსელიანმა რომ ჩამოიტანა ამბავი: ვანგასთან ვიყავი და თქვა, – ამ საუკუნის ბოლოს საქართველო ყველაზე აყვავებული ქვეყანა იქნებაო. ის დალოცვილი საუკუნის ბოლოს თუკი ხედავდა, ეს ჩვენი ჯაბა ვერ გააფრთხილა, სულ მალე დაგიჭერენო? – ისევ ეშმაკურად იცინის იგი.

– ვანგას პატიოსნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ვისაც ამბები ჩამოჰქონდა, ვანგამ საქართველოზე ასე და ასე თქვაო, მათი პატიოსნების საკითხი მართლაც საკითხავია! – სერიოზულად შეაჯამა მესამემ, რომელიც ქვაზე იჯდა, წამოდგა, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

### ქურდი ბალზე, პატრონი ტყემალზე...

გიორგი დარჩიამ გვიამბო:

კარგა მოზრდილი ვიყავი, მასიკო ქილიფთარის ბალზე ავპარე. მასიკო უკვე ხანდაზმული კაცი იყო. გამიგო, ქვეშ შემოვიდა და მკვახე ტონით მკითხა, რომელი ხარო. რატომღაც უცებ ასე გადავწყვიტე: ხმა შევიცვალე და, ბესარიონი ვარ-მეთქი, ვუთხარი, ზევით-ზევით ავიწიე და ფოთლებში შევიმალე.

– რომელი ბესარიონიო? – მეკითხება.

– რომელი ბესარიონი ვიქნები, ქილიფთარი-მეთქი.

მასიკო ცოტა შეყოვნდა, მერე ლმობიერი ხმით მეუბნება: ფრთხილად იყავი, არ ჩამოვარდეო. შემდეგ მესმის:

– ბესარიონ, ბოდიშს ვიხდი, ფული დაგიგვიანე, მაგრამ ამ დღეებში მოგართმევ.

– რასა ბრძანებთ, ბატონო, არ მეჩქარება. როცა იშოვით, მაშინ იყოს, ერთი, ორი, სამი თვის შემდეგ... – მივხვდი, მასიკოს ბესარიონის ვალი ჰქონია. მე კი, რა მენაღვლებოდა, ვიუხვე.

– ამდენს არ გაგიჩერებ, მაგრამ ცოტა ხანს მაშინ კიდევ ვისარგებლებ, – უფრო დაუტკბა ხმა მასიკოს.

– როგორც გენებოთ! – ისევ დავამშვიდე და ბალიც ჩამოვუყარე.

– ძირს მშვიდობით ჩამოდი! – დამემშვიდობა მასიკო და წავიდა.

ორი თუ სამი კვირის შემდეგ გავიგე, ბესარიონი და მასიკო წაჩხუბებულან. ბესარიონს უთქვამს: უპირო კაცი ყოფილხარ, ვალს რატომ არ მაძლევო. მასიკოს გაუკვირვია: ხომ მითხარი, ნუ ჩქარობ, გადროვებო? ბესარიონი აბობოქრებულა, როდის გითხარიო? – როდის და, ჩემს ბალზე რომ იყავიო. ამაზე ბესარიონი სულ გაგიჟებულა: შენს ბალზე რა მინდოდაო?!

მაშინ ვერ გავბედე, კარგა ხნის შემდეგ, როცა კაცობაში ფეხი შევდგი, ერთსაც და მეორესაც გამოვუტყდი, რომ მათი ჩხუბის მიზეზი მე ვიყავი.

### წამხდარი

ყმაწვილკაცობისას მიშა დობორჯგინიძე მამათში (ლანჩხუთის რაიონი) გვერდით მცხოვრები ბიძის ალუჩაზე ავიდა. ბიძამისმა, პეტრე დობორჯგინიძემ, უსაყვედურა: რა დროს ალუჩაა, მაგაზე ჯერ ნუგზარსაც (ნუგზარი მისი ვაჟია) არ ვუშვებ. ვაცალოთ დამწიფება-დამწიფება და ყველამ ერთად ვჭამოთო.

– ახლავე, ბიძია, პირი მაქვს წამხდარი, ორ-სამ ცალს შევჭამ და ჩამოვალ, – თქვა მიშამ და ზევით – ზევით აიწია.

– მარტო პირი? შენს სიწამხდარეს ალუჩა კი არა, რა უშველის, ბიჭო? – განაზოგადა პეტრემ ძმიშვილის სათქვამი („პირი მაქვს წამხდარიო" – ძველად გურიაში პირის გემოს დაკარგვაზე ამბობდნენ).

### სწავლა, სწავლა და სწავლა...

იმხანად, როცა შრომაში წასახალისებლად მუშებისა და გლეხებისათვის უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ეგრეთწოდებულ ლიმიტებს იძლეოდნენ, ერთ წელიწადს ერთი ასეთი „ლიმიტი" სოფელ მამათსაც ერგო. იმის გადასაწყვეტად, თუ ვისთვის მიეცათ იგი, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, პრომეთეოს შევარდნაძემ, სოფლის საერთო კრება მოიწვია.

– გვყავს ორი კანდიდატურა, – განუცხადა მან კრებას, – ერთი, რომელიც წელს ამთავრებს საშუალო სკოლას, პირველი კლასიდანვე კარგი მოსწავლეა, კოლმეურნეობაშიაც კარგად მუშაობს, მაგრამ სკოლის შემდგომი მუშაობის სტაჟი არ გააჩნია. მეორე სტაჟიანია, აგერ შვიდი წელია ფერმაში მუშაობს, საუკეთესო მშრომელია, მაგრამ სკოლაში სწავლით არ გამოირჩეოდა.

კრებაზე ცხარე კამათი გაიმართა, ზოგმა პირველს დაუჭირა მხარი და ზოგმა – მეორეს. სიტყვით გამოვიდა სერაპიონ კილაძე.

– თუ უმაღლეს სასწავლებელში – თქვა მან, – სწავლისათვის ვაგზავნით და ველოდებით, იქიდან ნასწავლი დაგვიბრუნდეს, ის უნდა გავაგზავნოთ, ვისაც განათლებისაკენ მიდრეკილება, ნიჭი და უნარი აქვს. თუ კოლმეურნეობაში შრომისა და დამსახურების მიხედვით ვარჩევთ, იგი უპირველესად სულ სხვას – თედორე ჩხაიძეს ეკუთვნის, მასზე მეტი ნაშრომი კოლმეურნეობაში არავის აქვს (თედორე ჩხაიძე ოთხმოც წელს მიტანებული კაცი იყო).

### ორი მეველე

მამათშივე კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დამატებითი მეველის დანიშვნის საკითხს განიხილავდნენ.

– კოლმეურნეობის ყანებში ვიღაც ღამღამობით სიმინდს იპარავს, როგორც ჩანს, ერთი მეველე საქმეს ვერ წვდება. მეორის დანიშვნაზე თქვენი ნებართვაა საჭირო, რადგან უამისოდ მისთვის ხელფასის მიცემის უფლება მე არ მაქვს, – განმარტავს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ამან კრების უკმაყოფილება გამოიწვია.

– აქამდე თუკი ყოფნიდა ერთი მეველე, საყანე ფართობები არ გაზრდილა და, არ გვესმის, რა იწვევს ამის აუცილებლობასო, – ჩიოდნენ ისინი.

– დიახ, უნდა დავნიშნოთ მეორე მეველე, – ყველასგან მოულოდნელად ამბობს სერაპიონ კილაძე და დასძენს: – აუცილებელია ეს! ახლა, ბიძია, ისეთი დრო მოვიდა, ერთ საქმეში ყველგან ორი კაცია საჭირო. კაცი სიმინდს რომ მოტეხს და გოდორში ჩაყრის, იმას გოდრის ჩამომწევად მეორე კაცი სჭირდება, აბა, არ სჭირდება!

### ამ კანტორის უკან იყო...

ერთხანს საბჭოთა ხელისუფლების დროს სასოფლო საბჭოებს ხან აერთიანებდნენ და ხან აცალკევებდნენ. იმჟამად მამათის კოლმეურნეობის ფიცრული კანტორის კიბეზე რაიკომის ინსტრუქტორი ჩამოდის და სერაპიონ კილაძეს საპირფარეშოს შესახებ ეკითხება.

– ამ კანტორის უკან იყო, – პასუხობს სერაპიონი, – მაგრამ ახლა აცანას მიგვაწერეს და, შეიძლება, ისიც იქ გადაიტანეს.

### ამინდის პროგნოზი...

ლიხაურელი (ოზურგეთის რაიონი) ვალიკო თაყაიშვილი ძალიან მაღალი ბიჭია, თითქმის ორმეტრიანი. ერთხელ იგი თავის მეზობელს, ალექსი დონაძეს, ეკითხება:

– ალექსი ბიძია, როგორ ფიქრობთ, დღეს გაწვიმდება?

– თავი ღრუბლებში შენ გაქვს შეყოფილი და ამინდს მე მეკითხები? – იცინის ალექსი.

* * *

გიორგი დარჩია ჰყვება: ბრეჟნევის დრო იყო.

ოზურგეთში, უნივერმაღში საქმით ასაკოვანი კაცი უთითებს ლენინის სურათზე, სადაც ლენინს ცალი ხელი ჯიბეში აქვს და ხმამაღლა, ყველას გასაგონად ამბობს:

– ა, ბიჭო, კაცი, ხელი თავის ჯიბეში აქვს, ახლანდელ მთავრობას კი არ ჰგავს, ჩვენი ჯიბეებიდან რომ არ იღებს ხელებს!

შეკრიბა
ბორის დარჩიამ

# ერთი ჩვეულებრივი დღე კორესპონდენტის ცხოვრებიდან...

დილის ცხრა საათია და ქალაქი თავისი საქმითაა დაკავებული – ფუსფუსებს. ზოგი სადღაც მიდის, ზოგი მგზავრადაა ქცეული... სადარბაზოდან გამოსული, მეც ამ მოფუსფუსე ქალაქის ნაწილად ვიქეცი... გაჩერებაზე მილეთის ხალხს მოეყარა თავი...

– დიდი ხანია არ მოსულა? – მეკითხება ვიღაც. არ ჩავკითხვივარ, რის მოსვლაზე იყო ლაპარაკი, მივხვდი, ტროლეიბუსზე მეკითხებოდა.

– რა ვიცი, არ ჩანს, – გაურკვეველ პასუხს ვაძლევ.

– ალბათ, დენი არაა, – ჩაილაპარაკა თავისთვის ჩემმა მოსაუბრემ და მდუმარედ განაგრძო ლოდინი. გარშემო კი სამარშრუტო ტაქსების გნიასია. მიდიან, მიდიან თითქმის ცარიელნი. ხალხი კი მრავლადაა... ინტერესი მკლავს ვკითხო, რატომ არ სხდებიან იქ. დიდხანს ვერ ვითმენ და წეღანდელ ჩემს თანამოსაუბრეს „პროვოკაციულ" კითხვას ვაძლევ:

– რატომ არ ჯდებით ამ „მარშუტკაში"? ისიც თავისუფლების მოედანზე მიდის. შემომხედა. ვერ გაიგო, დავცინი თუ რჩევას ვაძლევ.

– არ მინდა, – ჩაილაპარაკა და გამეცალა. ზრდილობიანი კაცი აღმოჩნდა, თორემ რისი ღირსიც ვიყავი, მეც კარგად ვუწყოდი. ცოტა ხნით დაკმაყოფილებული ცნობისმოყვარეობა ისევ ამეშალა და ახლა ჩემს გვერდით მდგომს მივმართე:

– ტროლეიბუსს ელოდებით?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

– „მარშუტკაში" რატომ არ ჯდებით? უფრო ჩქარა მიხვალთ.

– ფულს შენ გადამიხდი?! მიპასუხა და გამომწვევად შემომხედა. მივხვდი, მასში უფრო მეტად იყო განვითარებული თავდაცვითი ინსტინქტები და თუ არ მოვისვენებდი, ნამდვილად ვერ მივაღწევდი იმ მინისტრის კაბინეტამდე, რომელთანაც შეხვედრა მქონდა დანიშნული. გაცლა ვარჩიე...

ვდგავარ და ტრანსპორტის მომლოდინე მგზავრებს „ვახარისხებ". სამ ნაწილად შეიძლება მათი დაყოფა: „მარშუტკის", ავტობუსის, ტროლეიბუსის „კლიენტებად". მათ შორის მკაცრი ზღვარია: „მარშუტკის" კლიენტები არ სხდებიან ავტობუსში, მითუმეტეს, ტროლეიბუსში, ტროლეიბუსის მგზავრები, კი ძალიანაც რომ უნდოდეთ, ავტობუსით და სამარშრუტო ტაქსით ვერ იმგზავრებენ და აი რატომ...

– აბა გადავიხადოთ, გადავიხადოთ! დადის ავტობუსის მძღოლის „თანაშემწე". მუჭი ხურდით აქვს სავსე და ხალხს ეჭვის თვალით ათვალიერებს, მისთვის პოტენციური „დამნაშავე" ყველა.

– თქვენი? თქვენი? – გაჭირვებით მიძვრება ხალხით გაჭედილ ავტობუსში. ბოლომდე მაინც ვერ აღწევს და შემდეგ გაჩერებაზე უკანა კარიდან იწყებს „ჩამოვლას". მიახლოვდება, მე ისევ „პროვოკაციული" აზრი მიტრიალებს თავში.

– თქვენი? – მომადგა „თანაშემწე". ქვემოდან ავხედე, რაც შემეძლო საწყალი სახე მივიღე და ამოვღერღე:

– არ მაქვს... ღიმილმა ერთ წამს გასტანა, „თანაშემწეს" თვალები დაელამდა, მის სულში „ჩაგრული" კაცის ყვირილმა გაიღვიძა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იბღავლა:

– თუ ფული არ გაქვს, ავტობუსში რას ჯდები, ფეხით წადი, ჩვენ აქ „მაყუთის" გასაკეთებლად ვართ მოსული! ვიღაცამ ჩემი გამოქომაგება სცადა, მაგრამ ამაზე უფრო განწმატდა. ის დრო იყო, უნდა მეშველა თავისთვის, თორემ სიტუაცია უკონტროლოდ იძაბებოდა. კორესპონდენტის საბუთი ვუჩვენე და ფულიც გადავუხადე. „თანაშემწე" დაითაფლა:

– ასე გეთქვა თავიდანო, „მორცხვად" გამიღიმა. მეც არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეთქვა. კაცი „მაყუთის" გასაკეთებლად იყო გამოსული...

როგორც იყო მივაღწიე „სანუკვარი" სამინისტროს შენობამდე. დაცვასთან მცირედი „საქმის გარჩევის" შემდეგ გულამოვარდნილი, აქოშინებული, თითქმის სირბილით შევვარდი მინისტრის მისაღებში... მდივანმა კითხვა-ძახილის ნიშნებით სავსე მზერა მომაპყრო, მეც მოვახსენ-შევახსენე ვინ და რისთვის ვიყავი მოსული და მცირედი პაუზის შემდეგ შეღებილ ბაგეთაგან არც ისე დამამშვიდებელი პასუხი მოვისმინე:

– მინისტრს „ფირმები" (ე.ი. უცხოელები) ჰყავს სტუმრად, ეს ესაა მანქანიდან დამირეკა, ერთი საათი დააგვიანდება. პოო! „ფირმები" ფრიად საპატიო მიზეზია, რას ვიზამთ, დაველოდოთ.

– შესანიშნავია! – ჩავიბუზღუნე და თეთრი ავეჯით გაწყობილ მისაღებს თვალი მოვავლე. მდივანმა უკმაყოფილოდ ამომხედა.

– შესანიშნავი ავეჯია, – დავუკონკრეტე.

– დიახ, „შეფმა" იზრუნა ამაზე, – მიპასუხა ამაყად.

კარგად უზრუნია, ჩემმა მზემ... რატომ არ იზრუნებდა, თავისი ჯიბიდან იხდიდა თუ რა, გავიფიქრე და ჩემი და ჩემისთანების ბიუჯეტის სასარგებლოდ დაქვითული ხელფასები გამახსენდა, სულ წამიხდა ხასიათი...

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ „შეფის" გაკრეჭილ-გაპარსულმა, ჰალსტუხ-პიჯაკიანმა გვამმა ზღურბლი გადმოკვეთა და კაბინეტის კარის მიღმა გაუჩინარდა. როგორც იქნა მეღირსა უზარმაზარ, მზიან, გაპრიალებულ კაბინეტში შესვლა...

კარგა ხანს საუბრობდა მინისტრი საქვეყნო პრობლემებზე და მათ გადაჭრაზე... გამოვედი სამინისტროს შენობიდან და მივხვდი, რომ „რაც შევიტანე, ისევ ის გამოვიტანე" იმ მინისტრის კაბინეტიდან. ან რას ველოდი, როდის იყო „მაძღარ მღვდელს მრევლი მაძღარი არ ჰგონებოდა".

ისევ მოფუსფუსე ქალაქის გნიასს შევეფარე. „კასპის ნაყინი! ნაყინი!" – მომყვებოდა უკან ნაყინის გამყიდველის ყვირილი. მინისტრი შორს, ძალიან შორს იყო აქედან...

ანა ჯუღელი

# «ნატოსკენ» მიმავალი ყველა გზა ჩახერგილი არ გვაქვს

მეექვსე გვერდიდან

დასავლეთი რუსეთის პოზიციის გამო გარკვეულ სიფრთხილეს კი იჩენს, მაგრამ არც დიდად დაგიდევთ ყოფილი სუპერსახელმწიფოს რეპლიკებს და ჯიუტად იმეორებს, ბლოკის გაფართოება გადაწყვეტილი საქმეაო. მართლაც, მხოლოდ ზებუნებრივი ძალები თუ დააბრუნებენ ახლა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას, საიდანაც რუსეთს ჯარის გაყვანა [illegible]ლეს, მოსკოვის ორბიტაზე.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ეს პრობლემა ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. საქართველოში რუსი ჯარისკაცების რაოდენობა იმდენივეა, რამდენიც ჩვენი ეროვნული არმიის პირადი შემადგენლობაა, მაგრამ თანამედროვე შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების მარაგი, მიზეზთა და მიზეზთა გამო, საქართველოს ჯარს სტუმრებისაზე გაცილებით ნაკლები აქვს.

ასეთი ვითარება მრავალ სიძნელეს გვიქმნის. [illegible] მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ნატოსკენ მიმავალი ყველა გზა ჩახერგილი გვაქვს. საქართველოს, უბრალოდ, სხვებზე მეტი სიფრთხილე და წინდახედულება ესაჭიროება, რათა დასავლეთთან მისი დაახლოება დიდი ჩრდილოელი მეზობლის სკრვილის წინააღმდეგაც კი შეუქცევადი გახდეს. ჩვენ არ გვყავს გავლენიანი და კეთილგანწყობილი მეზობლები, რომლებიც ამ საქმეში უანგაროდ დაგვეხმარებოდნენ. სამაგიეროდ, გვყავს ისეთები (და არაერთი), რომლებიც მხოლოდ მომენტს ელოდებიან ჩვენი ტერიტორიის მისატაცებლად. ასეთ ვითარებაში, სანამ გამართულად სიარულს ვისწავლიდეთ და სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებოდეთ, ერთადერთ გამოსავლად კვლავ ის ყბადაღებული დაბალანსებული პოლიტიკა გვრჩება – ჩრდილოელს სამხრეთელით ვაშინებთ, სამხრეთელს – ჩრდილოელით, მარჯვენას – მარცხენითა და მარცხენას – მარჯვენით. სხვაგვარად დღეს ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ერთადერთი, ვინც შეგვიძლია ხელშეუხებლობის გარანტად გამოვიყენოთ დღევანდელ და ხვალინდელ მსოფლიოში, დასავლეთია თავისი სამხედრო და პოლიტიკური სტრუქტურებით. ჩვენი ამოცანაა, იმდენად დავაინტერესოთ იგი, რომ საბოლოოდ გადაწყვიტოს მსოფლიო წესრიგის ახალ სისტემაში ჩვენი ჩართვა.

რა შეგვიძლია შევთავაზოთ ნატოს მფარველობის საფასურად? საბედნიეროდ, იგი ჩვენგან არც ტერიტორიისა და არც სუვერენიტეტის დათმობას არ ითხოვს. ერთადერთი, რაც მოგვეთხოვება, არის პოლიტიკური პრიორიტეტების საბოლოო განსაზღვრა და მასთან თანამშრომლობა, პირველ ეტაპზე, თუნდაც, მხოლოდ პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში.

არასერიოზული იქნებოდა მტკიცება, რომ ქართული სამშვიდობო ოცეული ან ასეული რომელიმე რეგიონში სისხლისღვრის შესაწყვეტად მართლაც დასჭირდება გაეროს ან ეუთოს ეგიდით იქ შეყვანილ ჯარს. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი მონაწილეობაა – რადგან ივალდებულა საქართველომ, უნდა შეასრულოს კიდეც. მითუმეტეს, რომ „პარტნიორობის" პროგრამაში ჩვენ მონაწილეობას (ნახევარი მილიონი დოლარი წელიწადში) მთლიანად აშშ აფინანსებს. ამას გარდა, ჩვენ გვეძლევა საშუალება, მივიღოთ მონაწილეობა სამხედრო-ჰუმანიტარულ წვრთნებში ნატოს ეგიდით, უსასყიდლოდ მოვამზადოთ ჩვენი ოფიცრები მის სასწავლებლებში და ა.შ.

სამი თვის წინ აშშ-მ და ნატოს პარტნიორებმა მოხსნეს ემბარგო საქართველოსთვის შეიარაღების მიყიდვაზე. ჩვენი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით კი ისინი მზად არიან, უფასოდაც დაგვეხმარონ. კერძოდ, ასეთი წინადადებებით მოგვმართა გერმანიამ და ახლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად გამოვიყენებთ ამ ინიციატივას.

– იარაღისა და ტექნიკის ალტერნატიული წყაროს გაჩენა საქართველოსთვის იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი რეალურად დაფიქრდა რუსეთის ერთპიროვნული „მფარველობიდან" ჩვენი დახსნის საჭიროებაზე. ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო, რადგან „შევრონ ოვერსისა" და სხვა ასეთივე მსხვილი კომპანიების პრეზიდენტები, თითქმის ყოველკვირეულად რომ ჩამოდიან საქართველოში, არანაირ საქმეს არ წამოიწყებენ ქვეყანაში, რომელშიც ვითარებას არცთუ კეთილგანწყობილი უცხო სახელმწიფოს სამხედრო ქვედანაყოფები აკონტროლებენ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს პარლამენტის უკანასკნელი სესიები იძლევიან იმედს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ საბოლოოდ გადაწყვიტა საკუთარ ქვეყანაში სიტუაციის სრული დამორჩილება და რომ ამისათვის პარტნიორები და მფარველები უკვე არჩეული ჰყავს. ოღონდ, პირველად უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, ისინი ამჯერად ჩრდილოეთში აღარ უნდა ვეძებოთ.

რამოდენიმე წელია, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ახალი მსოფლიოს ლიდერებს. ზღაპრული წისქვილის ქვებივით მრავალი იმგვარი პრობლემა რომ არ გვიბორკავდეს ხელ-ფეხს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ ჩვენს კეთილ ნებაზე არაა დამოკიდებული (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, უცხო ქვეყნის ჯარი ჩვენს ტერიტორიაზე), ეს დაახლოება უფრო სწრაფი იქნებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად ახალი მსოფლიო ისეთი წესებით იწყებს ცხოვრებას, რომ ჩვენ უბრალოდ „განწირულნი" ვართ თავისუფლებისა და პროგრესისაკენ – ამისათვის ბევრი ძლიერი ახალი მეგობარი გვამზადებს.

რაც შეეხება ძველებს, რამდენადაც არ უნდა მოინდომონ მათ ამ პროცესის წინააღმდეგობა, საქართველო აუცილებლად დაიკავებს თავის ადგილს ახალ მსოფლიო წესრიგში – კავკასია მეტად მნიშვნელოვანი რეგიონია იმისათვის, რომ ახალმა ლიდერებმა აქ დემოკრატიის ერთგული ფორპოსტის შექმნაზე თქვან უარი; ქართველმა ხალხმა ზედმეტად ბევრი გადაიტანა იმისათვის, სამეგობროდ გამოწვდილ ძლიერ ხელზე რომ თქვას უარი.

## «მხედრიონის» ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესი ნოემბრის ან დეკემბრის თვეში დაიწყება

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, რომ ჯაბა იოსელიანის, გოგა გელაშვილის, თემურ ხაჩიშვილის და „მხედრიონის" სხვა ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესი დაიწყება ნოემბრის თვის ბოლოს ან დეკემბრის თვის პირველ რიცხვებში. გამოძიება „მხედრიონის" საქმეზე დამთავრდა ჯერ კიდევ ა.წ. მაისის თვეში, ხოლო მაისის თვიდან დღემდე ბრალდებულები და მათი ადვოკატები ეცნობიან სისხლის სამართლის საქმეს.

იბერია

## საქართველო აზერბაიჯანის მიმართ მიიღებს ადექვატურ ზომებს

საააგენტოს კორესპონდენტს სარწმუნო წყარომ საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტიდან აცნობა, რომ თუ უახლოეს მომავალში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები არ დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას წითელი ხიდის მიდამოებში, საქართველო მიიღებს ადექვატურ ზომებს. კერძოდ, შეიძლება შეიზღუდოს აზერბაიჯანული ტრანსპორტის მოძრაობა საქართველოს ტერიტორიის გავლით. „საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ საავტომობილო ტრასებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანისათვის და ეს უნდა გაითვალისწინონ ბაქოში", – განაცხადა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

## «აფხაზეთი ჩვენი წაყრუების წყალობით პატარა ნაბიჯებით დამოუკიდებლობისაკენ მიდის»

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თ.ნადარეიშვილმა ტრადიციულ ბრიფინგზე მთელი პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ მათ მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება კარგად ინფორმირებულ წყაროებს, კერძოდ, აფხაზეთის ა/რ შს, უშიშროების სამინისტროებსა და პროკურატურას ეყრდნობა. რაც შეეხება ე.ბრუნერის აფხაზეთთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, მისი თქმით, ეს ინფორმაცია 7-8 წყარომ დაადასტურა.

თ.ნადარეიშვილმა დააფიქსირა ფაქტები, რომლებიც გაეროს წარმომადგენელთა ქმედებებზე მეტყველებს. მისი თქმით, ისინი მოუწოდებენ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობისაკენ, რასაც ე.ბრუნერი, რა თქმა უნდა, უარყოფს. მისივე თქმით, გაერო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აფხაზეთში არჩევნები ჩატარდეს.

თ.ნადარეიშვილის თქმით, „გაეროს მისია აფხაზეთში, რომელიც 150 კაცით განისაზღვრება, ბოლო დროს მიძინებულ სტრუქტურად იქცა. მათ აწყობთ ვითარების დაკონსერვება, მხოლოდ ფაქტების დაფიქსირებით კმაყოფილდებიან, სამსახურში ქართველებისადმი დიდი დანაშაულის მქონე აფხაზები ჰყავთ. ასეთი ალიანსი კი დაუშვებელია". აღნიშნულიდან გამომდინარე თ.ნადარეიშვილი თვლის, რომ მათი აფხაზეთში ყოფნა მიუღებელია.

როგორც თ.ნადარეიშვილმა განაცხადა, 17 ოქტომბერს აფხაზეთში ჩატარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზეც დააფიქსირეს, რომ აფხაზეთში დღეისათვის 212 ათასი ამომრჩეველია. აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს მონაცემებით კი დღეისათვის აფხაზეთში 120 ათასი მაცხოვრებელია.

„აფხაზეთი ჩვენი წაყრუების წყალობით პატარა ნაბიჯებით დამოუკიდებლობისაკენ მიდის. მთელმა საქართველომ კეთილი ინებოს და ჩაერიოს ამ საკითხის გადაწყვეტაში, რაც მას შეუძლია ერთიანი შეიარაღებული ძალებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი ომი, არსებობს სხვა მიდგომები და მეთოდები". – განაცხადა თ.ნადარეიშვილმა.

იპრინდა



თარაზულად: 7. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი (მეკარე); 8. სამაგიეროს მიზღვა დამარცხებისათვის; 9. იაპონური ეროვნული ჭიდაობის – ძიუ-დოს შემქმნელი; 10. უცხოური ავტომობილი; 12. სირიის პრეზიდენტი; 14. ორგანიზაციის, დაწესებულების განყოფილება; 16. მათემატიკური მრავალწახნაგა სხეული; 17. გაუქმებული სოფელი ბორჯომის რაიონში; 18. თავის ტვინის ანთება; 21. ქალაქი იაპონიაში, 1972 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა მასპინძელი; 22. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 23. სატანვარჯიშო იარაღი; 26. უცნობი პიროვნების აღმნიშვნელი სიტყვა; 28. ალალბედზე მოქმედებით სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა; 29. სასვენი ნიშანი; 30. ზოგი მუსიკალური საკრავის ნაწილი; 31. მდგომარეობა (კრივში), როცა მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმით ძირსაა დავარდნილი.

შვეულად: 1. სახელმწიფოს ნაწილი, მხარე შუა საუკუნეების საქართველოში; 2. მცენარეთა სამყარო; 3. საფენი ავადმყოფის ხელით გადასაყვანად; 4. სისხლძარღვში გაჩენილი, სისხლის შენადედი; 5. უსაქმოდ მოხეტიალე, მოხეტიალე ახალგაზრდა; 6. მდგომარეობა, როცა ომი არ არის; 11. „ოტელოს" პერსონაჟი; 13. ტერმინი, რომელიც წინათ არაბების და, საერთოდ, მაჰმადიანთა აღსანიშნავად იხმარებოდა; 14. ყველაზე კარგი, რჩეული; 15. ისლანდიის პარლამენტი; 19. კაცოჭამია ანუ... 20. ფრინველის პირის ნაწილი; 24. გასესხებული კაპიტალის სარგებლით, ფასიანი ქაღალდების შემოსავლით მცხოვრები; 25. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 27. ვინც მარჯვენა ხელის ნაცვლად მარცხენას ხმარობს; 28. ქვის წვრილი ნამტვრევები, ღორღი (იმერულად, რაჭულად).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. დიაკვანი; 6. ადვოკატი; 7. პროგრამა; 8. ანგელოზი; 10. დურბინდი; 12. ცხო; 14. ანტიდოტი; 16. იოკაი; 17. „კენტი"; 18. ელული; 19. კასრი; 20. ილინოისი; 22. ინა; 23. ავგაროზი; 27. ინიციალი; 28. გელოვანი; 29. შტურმანი; 30. „ხანჯლური".

შვეულად: 1. სტატორი; 2. „დინამო"; 3. ვედენო; 4. პლატონი; 7. პურმარილი; 9. იზოლატორი; 10. დროგი; 11. იანძი; 12. ცხიმი; 13. ომეგა; 14. აგუნა; 15. იარდი; 21. ოჩიაური; 24. ანანური; 25. ელენთა; 26. კეფალი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444